საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა 8 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 178 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 178

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებულნი იესე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, ნინო ივანეს ასული, კონსტანტინე იოსების ძე და ვიქტორ—იასონ კონსტანტინეს ძე სვიმონი შვილები, ანასტასია ალექსანდრეს ასული და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 აგვის., ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 10 საათ. გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი $11^{1}/_{2}$ საათ. (იქვე ეკლესიის სასაფლაოზე) მათთვის დაუვიწყარის და ძვირფასის პირველის მეუღლისა, მეორის და მესამის ქალიშვილისა, მეოთხის დისა, მეხუთის და მეექვსის რძლისა

**ელენე კონსტანტინეს ასული ბარათაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2566—3—2)

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე ზურაბის ასული, ვასილ და ნინა, პანტელეიმონ სიმონის ძე გიორგობიანი და ალექსანდრე ზურაბის ძე გაგლოევი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 8 აგვისტოს კუკიის სასაფლაოზე დასაფლავებულ იქნება მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის შვილი, მეორის და მესამის და, და მეოთხის ცოლის და, და უკანასკნელის დისწული.

**ნადია მანჯავიძისა**

გამოსვენება მოხდება 8 აგვისტოს დილის 9 საათზე ბინიდან—ჩერქეზოვის ქუჩა, № 94. (1594—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ეკატერინე და ნიკოლოზ, და ნინო, ძმები: ვლადიმერ და ერეკლე, სიძე ნიკოლოზ ჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელის შვილის და ძმის მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის, არმავირის ფრონტზე გმირულად დაღუპულის

**გაბრიელ (გაგო) ოთხმეზურის**

სულის მოსახსენებლად [illegible] (2500-1-1)

[illegible]

**იულიტა გიორგის ასული გაბიძლაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2556—1—1)

[illegible]

**იულიტა გიორგის ასული გაბიძლაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2556—1—1)

[illegible]

**იულიტა გიორგის ასული გაბიძლაშვილის**

სულის მოსახსენებლად. [illegible] (2556—1—1)

[illegible]

**არჩილ ნიკოლოზის ძე კოტეტიშვილის**

სულის მოსახსენებლად. [illegible] (2597-1-1)

## ამ დღეებში თფილისში გამოვა

[illegible] გაზეთი

### „სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური [illegible]

**გაზეთი გამოვა ორშაბათობით**

[illegible] „ერთობის“ [illegible] „სოფლის მუშის“ [illegible]

[illegible]

---

ღრმად დამწუხრებულნი: მამა იოსებ გიორგის ძე, დედა მაგდანი, ძმები: შალიკო და ვანიჩკა თუხარლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მარიამ (მარუსა) იოსების ასული ჩახნაშვილისა**

[illegible] 9 აგვისტოს დილის 9 საათზე. (2589—1—1)

## თელავის სამაზრო ერობის გამგეობა

[illegible] (2537—3—3)

## მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის სურსათ სანოვაგით, რომ ისინი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მუშა-მოსამსახურეთა

### ახალი სიები

და საალფავიტო ბარათები. ვინც 20 აგვისტომდე **ზემო-აღნიშნულ ახალ სიებს** არ წარმოადგენს, **მათ პური და სხვა სურსათ სანოვაგე არ მიეცემათ.**

**წესი სიების შედგენისა:**

1) სიები უნდა იქნეს წარმოდგენილი ორ ცალად.

2) თითო სულზე თითო საალფავიტო ბარათი.

3) სიები და ბარათები უნდა იქნეს შედგენილი სუფთათ, დაწერილი გარკვევით, შემოწმებული ადმინისტრაციის, საქარხნო კომიტეტის ან პროფესიონალურ კავშირების მიერ **სახელმწიფო ენაზე**; სიებზე აღინიშნება **ჯგუფის ნომერი.**

4) სიის ბლანკებზე აღნიშნული წესები სავალდებულოა.

5) დედ-მამა (შრომის უნარს მოკლებულნი) და და-ძმანი (ობლები) თუ მუშა მოსამსახურის შესანახია უნდა სათანადო მოწმობები იქნას წარმოდგენილი საქარხნო კომიტეტიდან ან პროფესიონალურ კავშირებიდან მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.

6) ბლანკების და საალფავიტო ბარათების შეძენა შეიძლება მუშათა მაგიდაში ყოველ დღე დილის 8—1 საათამდის.

7) ყოველგვარი დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ **მხოლოდ ჯგუფების წარმომადგენლებს**; თუ ჯგუფის წარმომადგენელი ვერ დააკმაყოფილებს დაინტერესებულ პირებს, მათ ვთხოვთ შემოიტანონ **წერილობითი განცხადება**, სადაც უნდა იქნეს აღნიშნული დაწესებულება და ჯგუფის ნომერი.

8) ყალბი ცნობების მოწოდებისათვის დამნაშავენი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

**მუშათა მაგიდა.**

(ნ. 5—1)

## ქართული ბეჭდვითი ამხ-ობა

### აცხადებს

რომ იბეჭდება და აგვისტოს დამლევისათვის მზათ იქნება შემდეგი სახელმძღვანელოები:

1) **მსოფლიო ისტორია**, ახალი საუკ. მე 5, 6 და 7 კლ. კურსი პროფესორ **ს. ავალიანისა.**

2) **ბუნების სარკე 1 ნაწ.** სავალდებულო საკითხავი წიგნი დაბალ კლას. **ივ. ელიაშვილისა.**

3) **მსოფლიო ისტორია** დაწყებითი კურსი 1, 2 და 3 ნაწ. **ალ. წერეთლისა.**

4) **ბოტანიკა 1 ნაწ. სეით იაშვილის**

5) **ევროპა (გეოგრაფია) მისივე.**

6) Методическая христоматія 1 და 2 ნაწილ. **იაკ. ზედგინიძისა.**

7) **ქართული ან-ბანი,** დედა ენის მაგიერი **მისივე.**

8) **ბუნება—მიწა,** წყალი და ჰაერი **არკ. ჩხენკელისა.**

9) **არითმეტიკული კრებული—**ნაწერები **ხამ. დათეშიძისა.**

10) **ქართული წერის დედანი—მისივე.**

ყველა სახელმძღვანელო მოწონებული და ნება დართულია სკოლებში სახმარად განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის მიერ.

**ქაღალდის სიმცირის გამო სახელმძღვანელოები იბეჭდება განსაზღვრული რიცხვი.** ამიტომ პირველ რიგში წიგნები დაეთმობათ **სკოლებს, ქალაქის გამგეობებს და ერობებს.** ამას გარდა მზადდება **რვეულები და ბლოკნოტები.**

დაინტერესებულმა დაწესებულებებმა ამ თავით უნდა აცნობონ ამხანაგობას, რამდენი წიგნი და რვეულის მიღება სურთ. მოთხოვნილება წერილობით უნდა გამოიგზავნოს ამხანაგობის სახელზე, თფილისში, რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 4—73.

## ქართული კლუბი

დამფუძნებელი კრების ქუჩა

კვირას 8 აგვისტოს 1920 წ. საბურთალოს მუშათა კლუბის სახალხო თეატრის, უფასო სამკითხველოს და სახალხო უნივერსიტეტის სახსრის გასაძლიერებლათ

გაიმართება

### დიდი საღამო

სხვა გასართობებთა გარდა იქნება ლატარეა-ალეგრი და აუქციონი.

**გამგეობა.** (2584—1—1)

## საყურადღებოთ.

### დავით იაგორის ძე კალანდაძე

**აცხადებს**

**რომ სავაჭრო სახლის ძმ. სეილანოვების**

**რექტიფიკაციის ქარხანა, კონიაკის, არყის და ლიკიორების გადმოვიდა მის ხელში საკუთრებად 1 აგვისტოდან** და ახლო მომავალში ნაწარმოები გამოვა თავის საკუთრის ფირმით. ვაგზლის ქუჩა, № 5, სახლი სომხის სასულიერო სემინარიისა. (2513—6—5)

---

## საქართველოს რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომლების მიერ გამოგზავნილი იყო სათბობი მასალები ვაგონებ-ცისტერნებით და ნავთ-საქაჩავ ტრუბებით და დაკავებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ადერბეიჯანთან ომის დროს, შემოიტანონ განცხადება სამასალო განყოფილებაში ამა 1920 წ. 15 აგვისტომდე მათ დასაკმაყოფილებლათ. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული სახელი სათბობი მასალისა და რაოდენობა, ნომერი ნაკლადნოისა, სადგური, რომელმაც გამოგზავნა და რომელ სადგურზე იყო გაგზავნილი, გვარი და მისამართი მიმღებისა. იმ პირთა განცხადებანი, რომლებიც შემოტანილი იქნება უგვიანეს 15 აგვისტოსა არ იქნება დაკმაყოფილებული. (ნ. 3—3)

## იყიდება

### ელექტრონის სადგური

**წისქვილით** პ. კალატოზის და ე. კვირიკაშვილის ქალ. ზესტაფონში, ადგილზევე წარმოებით. მოლაპარაკება შეიძლება იქვე. (2550—3—2)

## თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თხოვნები მიიღება ყველა **ფაკულტეტებზე** (სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო)

### 20 ივლისიდან 1 ენკენისთვემდე.

1) **სიმწიფის,** 2) **მეტრიკული,** 3) **სამხედრო** ბეგარასთან დამოკიდებულების **მოწმობები,** 4) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული **სურათი** საქმეებში ჩასაკერებლად და ერთი სემესტრის, სწავლის ფული—200 მანეთი. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა აღნიშნონ თხოვნაში თუ რომელ განყოფილებაზე სურთ (სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და საგრონომიო). მიღებულთა **სია** გამოკრული იქნება უნივერსიტეტში 15 ენკენისთვიდან. ამ რიცხვიდან შეიძლება სტუდენტთა ლექციებზე ჩაწერის და სხვა წესების მიღება.

(2540—3—3) თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **გამგეობა.**

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 129).

**ორშაბათს, 9 აგვისტოს,**

### წარმოდგენა-კონცერტი

I—**ტრავიატა** (2 მოქ.). II—**ბალლადა უბედურის** (ინსცენ.).

III **დივერტისმენტი**

მონაწილეობენ: სახელმწ. თეატრ. მსახიობნი **ფ. ნ. დროზდო-პოლიაევი, ნ. ს. გოცირიძე** (წაიკითხავს; ვზარვაიტ აკოპა) და სხვანი.

როიალთან **ვასილიევ-ანდრონიკაშვილისა.**

რეჟისორი: **ვასილიევი.**

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

სტუმრები—საზოგადო წესით.

**სამშაბათს, აგვისტოს 10,** საზაფხულო საღამო, მუსიკა, ცეკვა, თამაში. (ნ. 1—1)

## ორთაჭალის მუშათა საზაფხულო კლუბში

**დღეს, კვირას, 8 აგვისტოს,**

**მე 6 რაიონის კოლექტივი ს. ს.-დ. მ. პ. მართავს**

### დიდ სეირნობა-საღამოს

ლოტარეი-ალეგრით. აუქციონში ბატკანი. (2595—1—1)

## კონტორა მექარხნე

### დავით კალანდაძისა

რომელიც იმყოფება ვაგზლის ქ., № 5-ში, ენფიანდჟიანცის ფაბრიკის პირდაპირ

### ყიდულობს თეთრ შუშებს

კონიაკისა და არყისას, პატარეებს ვედრის მეორმოცედს $^{1}/_{40}$ 12 მანეთად. დიდებს ე. ი. ვედრის მეოცედს $^{1}/_{20}$ 15 მანეთად. კონტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე კვირა დღესაც. (2596—2—1)

## უაზრო მსჯელობა

ბოლშევიზმი, როგორც „იდეური“ მოძრაობა, დამარცხდა საქართველოში. ამ ფაქტის უარყოფა არ შეუძლიათ არც „ყოვლის შემძლე“ ბოლშევიკებს. ისინი გაიმარჯვებდენ, რომ მარტო შეიარაღებული ძალით მოსულიყვენ ჩრდილოეთიდან. მაგრამ ჩვენმა დემოკრატიამ ბრძოლა თავიდანვე გადაიტანა იდეურ ასპარეზზე, და იქ ბოლშევიკურ პარტიას გამოაჩნდა ისეთი სისუსტე, რომელსაც დაინახავს ყველა, ვისაც კი თვალში სინათლე არ გამქრალა.

საქართველოს მუშათა კლასი არ თანაუგრძნობს ამ პარტიას. ჩვენ არა ერთხელ მიგვითითებია ამის დამამტკიცებელ ფაქტებზე. აქაური მშრომელი ხალხი თითონ იჩენს ინიციატივას, ის მოითხოვს მთავრობისაგან სასტიკ ზომებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

„ახალი კომუნისტი“ ცდილობს დაარწმუნოს თავისი მკითხველები, რომ ჩვენი დემოკრატია ვერ იტანს ბოლშევიკური პარტიის ლეგალურ არსებობას. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ სწორეთ ამ ხანმოკლე ლეგალური არსებობით ბოლშევიკებმა აქ სულ დაჰკარგეს ნიადაგი. აქამდის ისინი ზოგიერთ მუშა-გლეხების წრეებში მიმზიდველ ძალათ ეჩვენებოდათ. ახლოს აღარ აქვთ ეს ძალა. საქართველოს მშრომელმა ხალხმა დაინახა ბოლშევიკების საქმიანობა მეზობელ ადერბეიჯანში,—დაინახა მათი „იდეური პატიოსნება“ ადგილობრივ ბოლშევიკურ პრესაში. ეს ხალხი სიძულვილით უყურებს ამის შემდეგ ყველაფერს, რაც გვევლინება ბოლშევიზმის სახით. ჩვენმა მუშა-გლეხობამ კარგათ იცის, რომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა არ არის უნაკლულო, მაგრამ ის ღრმათ გრძნობს, რომ ბოლშევიკების ხელიდან ის უკეთეს ვერაფერს მიიღებს. რამდენჯერ მოვსთხოვეთ ჩვენ „კომუნისტის“ ბურჯებს ეთქვათ, სად უფრო თავისუფლათ სუნთქავს ხალხი, და სადაა აუტანელი პირობები—აქ, თუ საბჭოთა რუსეთში. ბოლშევიკები ყოველთვის გაურბოდენ პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე.

მუშათა კლასმა დააფასა მათი ავლადიდება. სხვათა შორის პროფესიონალური კავშირების უკანასკნელ კონფერენციაზე ერთი ბოლშევიკიც არ აირჩიეს მუშათა დელეგაციაში. შეიძლება ბოლშევიკებმა მაინც სთქვან კიდევ, რომ მათი გავლენა დღითი დღე იზრდება საქართველოს მუშათა კლასში. ამის გულწრფელ დამჯერებელს ისინი ვეღარ იპოვნიან ვერც კომუნისტის“ რედაქციაში. პირველი მაგალითია მთელ ყოფილ რუსეთში, როცა მუშათა კლასს საშუალება მიეცა ერთი მეორეს შეადაროს ბოლშევიკური და სხვა პარტიების მსოფლ-მხედველობა. ეს მაგალითი ცხადზე უცხადესათ გვეუბნება, რომ მუშათა კლასი უარყოფს ბოლშევიკების დე-

# დღეს

კრასინს და კამენევს განუცხადა ლორდ-კერზონმა—უკეთუ ბალშევიკები არ შეაჩერებენ ვარშავზე შეტევას, მაშინ ინგლისს-რუსეთს შორის დაუყოვნებლივ შესწყდება ყოველგვარი მოლაპარაკებაო.

ბალშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარები ვარშავისაკენ მიიწევენ.

საფრანგეთისა და ინგლისის მისიები ვარშავიდან გასულან.

ჩიჩერინმა წინადადება მისცა რუმინეთის მთავრობას დანიშნოს საზავო მოლაპარაკებისათვის ახალი ადგილი, უკეთუ რუმინეთი თანახმა არაა მოლაპარაკების ხარკოვში გამართვისა.

იაპონიის ჯარს დაუკავებია შორეულ აღმოსავლეთში ზღვის პირისა და ვლადივოსტოკის რაიონები.

ვოლფის სააგენტო უარყოფს რუსეთ-გემანიის შეთანხმებას პოლონეთის წინააღმდეგ.

სომხეთის სააგენტოს ცნობით ზანგეზურში სომხებმა ბალშევიკები დაამარცხეს.

თფილისში ჩამოვიდა სომხეთის საზავო დელეგაცია საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან მოსალაპარაკებლათ.

ბალშევიკების სომხეთის წინააღმდეგ შეტევის გამო თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ 6 აგვისტოს სხდომაზე საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა.

---

და აზრს. ისინი კი გამომდგარან და უსირცხვოდ იძახიან,—საქართველოს მთავრობას ყველაზე უფრო ეშინია ბალშევიკების იდეიური ბრძოლისო. რომ ეშინოდეს, ერი დღესაც არ მისცემდა მათ გაზეთის გამოცემის ნებას, მოიქცეოდა ისე, როგორც თითონ ექცევიან რუსეთში მენშევიკებს.

არა ბალშევიკებს არ უნდათ ლეგალური ბრძოლა. ეს სულ არ შეეფერება მათ დღევანდელ მდგომარეობას. დღეს ისინი ზარბაზნებით სჭრიან სადაო კითხვებს, ამით თითქმის ყველგან იმარჯვებენ და ამ ნაცად იარაღს საქართველოში არ გამოსცვლიან. ადგილობრივი კომ. პარტია ცდილობს, რომ ლეგალური არსებობა გამოიყენოს თავსაფრათ და აქეთოს ძველი საქმე ჩვენი მთავრობა დამნაშავე იქნება, რომ სასტიკი ზომები არ მიიღოს ამისთანა საქმიანობის წინააღმდეგ. იღებს კიდეც. ბალშევიკები ციხეებში სხედან. მუშათა კლასი სდუმს... თუმცა „ახ. კომუნისტი“ მოუწოდებს,—შეგიძლიათ თქვენ დამშვიდებით ჩაიდოთ პირში თქვენი მწირი ლუკმა, როცა ციხეებში ორასი კომუნისტი შიმშილობსო.

ეს შიმშილობა მაჩვენებელია ისევ ბალშევიკური პარტიის იდეური სისუსტის. ამ საშუალებით ის ცდილობს თანაგრძნობა შექმნას თავის გარშემო, მშრომელი ხალხი აღელვოს და ამავე დროს იმ „ძალმომრეობის“ წინააღმდეგ, რომლითაც სარგებლობს ჩვენი მთავრობა. მაგრამ მშრომელმა ხალხმა კარგათ იცის, რას წარმოადგენს აქაური „ძალმომრეობა“ ბალშევიკურთან შედარებით. აქ ციხეში იგზავნებიან ისეთი დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იქ ახვრეტებიან. უარჰყოფ თუ არა ამ ფაქტს „ახ. კომუნისტო“?...

ჩვენ მომხრე ვართ სასტიკი ზომების არალეგალური მუშაობის წინააღმდეგ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ადგილი არ უნდა ექნეს ისეთ „შეცდომებს“, როგორსაც ჩაიდენენ ხოლმე „საბჭოთა“ რუსეთის დარაჯები. ისინი ჯერ უდანაშაულოთ დასჯიან ხოლმე ამა თუ იმ პიროვნებას და მერე ამბობენ,—გაუგებრობა მოხდა, რა ვუყოთო. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს აქვს ისეთი მოქნილი აპარატი, რომ შეუძლია გაარჩიოს დამნაშავე უდანაშაულოსაგან. ორასი კომუნისტის შიმშილობა ისეთი უაზრო მსხვერპლია, რომელიც არავითარ ცვლილებას ვერ შეიტანს ამ აპარატში. დაანახვებენ მხოლოდ ქვეყანას და თითონაც დაინახავენ, რომ მუშათა კლასის მხრივ თანაგრძნობის მოპოვება მათ არ შეუძლიათ არც ამისთანა გმირული საშუალებით.

## საბჭოთა რუსეთი
### VI
**საყოველთაო საარჩევნო უფლება.**

როგორც ვიცით, კომუნისტებმა საარჩევნო უფლება სადაოთ გახადეს, უარყოფა საყოველთაო არჩევნების პრინციპიალურ საკითხათ აქციეს და ამ უფლების დაცვა წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიათ გამოაცხადეს.

ამ კითხვის შესახებ აქაურმა „კომუნისტმა“ რამდენიმე წერილი დასტამბა და გაიმეორა ის ვითომდა მარქსისტული აზრები, რომლებსაც ასე წარა-მარა იმეორებენ მრავალი მათი თანამოაზრენი შიგ რუსეთში.

ვინც იცავს საყოველთაო არჩევნებს—ის წინააღმდეგია მუშათა კლასის დიქტატურის—აცხადებენ ისინი. რატომ? იმიტომ რომ საყოველთაო არჩევნები აძლევს უმრავლესობას არა პროლეტარიატს, არამედ მის მოწინააღმდეგე კლასებს, მაშასადამე უარჰყოფს პროლეტარიატის დიქტატურას და მის გეგემონიას. აქედან დასკვნა: ვინც ემხრობა მუშათა კლასის დიქტატურას—ის ვერ იქნება საყოველთაო არჩევნების მომხრე. ის უარჰყოფს ასეთ არჩევნებს. ბურჟუაზიის დამარცხება შეიძლება მისი პოლიტიკური უფლების წართმევით. ეს კი შესაძლებელია საარჩევნო უფლების აყრით, აი ის უმთავრესი, თუ გნებავთ, ერთად-ერთი საბუთი, რომლის ძალით საყოველთაო საარჩევნო უფლება პრინციპიალურათ მიუღებელი შეიქნა და ის პოლიტიკური ბრძოლის არსენალიდან განიდევნა.

რომ ამ უფლების უარყოფა პრინციპათ არ ექციათ და ამ უფლების დაცვა მუშათა კლასის ღალატათ არ გამოეცხადებიათ—მაშინ, რასაკვირველია, ამ კითხვის გარშემო ჩვენ შორის დავას ადგილი არ ექნებოდა. არ ექნებოდა იმიტომ, რომ მარქსიზმი სრულიად არ უარჰყოფს ისეთ მომენტებს, როცა საჭირო იქნება ამ უფლების შეზღუდვა პროლეტარიატის სასარგებლოდ. ჩვენ ეს კარგათ გვესმის და არას დროს არ გვითქვამს, რომ ასეთ შესაძლებლობას და საჭიროებას ვითომ უარვყოფდეთ. პირიქით, რევოლიუციის პირველ წლებში ჩვენ თვითონ ვიდექით ამ ნიადაგზე. მარა, როცა ჩვენს წვრილ ბურჟუობას სხვათა შორის იმითაც ასაბუთებენ, რომ ჩვენ ამ ჟამად ვიცავთ საყოველთაო არჩევნებს, რომელიც მუშათა კლასის მოწინააღმდეგე ძალებსაც საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის საქმეში და როდესაც აქედან პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა გამოყავთ და მით ჩვენში არსებულ მუშათა კლასის დიქტატურას უარყოფენ—ჩვენ იძულებული ვართ ისევ და ისევ შევაწუხოთ ამხ. ლენინი, რომ მის უვიც მიმდევრებს ასწავლოს და აუხსნას, თუ რაშია საქმე.

V სოციალიზმის სახელით საყოველთაო საარჩევნო უფლების უარყოფამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის სოციალისტურ წრეებში. ეს მითქმა-მოთქმა იმდენათ ძლიერი იყო, რომ ლენინი იძულებული გახდა თავის პირველ მოხსენებაში ყრილობაზე ამ საკითხებზედაც შეჩერებულიყო და თავის გასამართლებლად ეთქვა:

„საკითხი ბურჟუაზიის საარჩევნო უფლების წართმევის შესახებ ჩვენ არასდროს არ გაგვიხილავს აბსოლიუტიური თვალსაზრისით. ეს იმიტომ რომ თეორიულათ სავსებით დასაშვებია, **რომ პროლეტარიატს შეუძლია დაამარცხოს და დაიმორჩილოს ბურჟუაზია ყოველნაირად საარჩევნო ხმის წაურთმევლადაც. ეს თეორიულათ სავსებით შესაძლებელია და ჩვენს კონსტიტუციას ჩვენ არ ვაყენებთ და არ ვსახავთ როგორც სამაგალითოს და მისაბაძს სხვა ქვეყნებისათვის.** (ხაზი ჩვენია) ბურჟუაზია არც ოქტომბრის რევოლიუციამდე და არც მის შემდეგ არავის არ გაურეკია საბჭოებიდგან. **ბურჟუაზია თვითონ წავიდა საბჭოებიდგან.** (ხაზი ლენინისაა) აი როგორ დგას საკითხი საარჩევნო უფლების შესახებ. **ჩვენი კონსტიტუცია იძულებული იყო შეეტანა ეს უთანასწორობა იმიტომ, რომ კულტურული სიმაღლე მეტად დაბლა დგას, ორგანიზაცია ჩვენი მეტად სუსტია. მაგრამ ჩვენ ამას იდეალათ არ ვიხდით.** პირიქით, პარტია პროგრამაში ვალდებულათ იხდის თავს სისტემატიური მუშაობით ეს უთანასწორობა მოსპოს. და **ამას ჩვენ მოვსპობთ მაშინვე, როგორც კი შევძლებთ კულტურული სიმაღლის ზევით აწევ ს“.** (ხაზი ჩვენია. ოქმი, გვერ. 54-55).

V ლენინის ამ ახსნა-განმარტებიდან ჩვენთვის საინტერესოა:

1. რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების უარყოფა—ესაა ტაქტიკის და არა პრინციპის საქმე.
2. რომ ბოლშევიკებმა შეზღუდეს საყოველთაო არჩევნები არა იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა მარქსიზმი, არამედ იმიტომ რომ იქ, რუსეთში ხალხი კულტურულათ დაბლა დგას; რომ იქ მათი ორგანიზაციები სუსტია, და რომ, როგორც კი შესძლებენ მასის კულტურულათ ამაღლებას—ამ შეზღუდვას მაშინვე მოსპობენ და
3. რომ ბურჟუაზიის დამარცხება და დამორჩილება პროლეტარიატს შეუძლია საარჩევნო უფლების წაურთმევლათაც, **მაშასადამე საბჭოთა სისტემა არ არის ერთად-ერთი ფორმა პროლეტარიატის დიქტატურის.** (ხაზი ჩვენია).

ჩვენ გვგონია, რომ ლენინის ამ განმარტების შემდეგ ჩვენი ბალშევიკები აღარ დაიწყებენ ამ კითხვაზე პრინციპიალურ კამათს და მის მიღებას თუ უარყოფას ტაქტიკის სფეროში გადაიტანენ. და აი ამ მხრით საინტერესოა ამ ტაქტიკის გადმოტანა ჩვენს სინამდვილეში.

ჩვენ არ წავართვით აქ ბურჟუაზიას საარჩევნო უფლება და აი ამას ბალშევიკები დანაშაულათ გვითვლიან პროლეტარიატის წინაშე. მათ წართვეს ბურჟუაზიას საარჩევნო უფლება—ამით თურმე ისინი უაღრესი სოციალისტებია. რისთვის წაართვეს ბურჟუაზიას ეს უფლება? იმისთვისო—ამბობს ლენინი—რომ ჩვენი მასა კულტურულათ დაბლა სდგას და ჩვენი ორგანიზაციები სუსტიაო.

იყო თუ არა ჩვენში ასეთი პირობები? აი აქ შეიძლება დავა. თუ ჩვენი კომუნისტები დაამტკიცებენ, რომ ჩვენი მასა კულტურულათ დაბლა დგას, რომ ჩვენი ორგანიზაციები სუსტია—მაშინ ისინი რუსეთის პრაქტიკის მიხედვით მართალი იქნებოდენ. მარა ამის დამტკიცება აღემატება ყოველივე ცდას. ჩვენი მასა კულტურულათაც მაღლა დგას (შედარებით რასაკვირველია) და ჩვენი ორგანიზაციაც ძლიერია. ამას არ უარყოფენ თვით ბალშევიკების ლიდერებიც. ამ რიგათ, რომც გავიზიაროთ თვით მათი მოტივები, ჩვენ არ გვაქვს საბუთი მოვსპოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება, რადგან არც ერთ მათ მიერ დასახელებულს მოტივებს ჩვენში ადგილი არ აქვს.

მეორეს მხრით, ლენინი ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიის დამორჩილება და დამარცხება შეიძლება საარჩევნო უფლების წაურთმელათაც და ეს სრულიად არ უარჰყოფს მუშათა კლასის დიქტატურასო. და თუ ამ აზრით გავსჭვრეტთ ჩვენს სინამდვილეს, უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენში შესაძლებელია ეხლა მუშათა კლასის დიქტატურა ბურჟუაზიის ხმის წაურთმევლათ და ასე ეს სადი თეორიული შეხედულება პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარდა. ამის საბუთია ყველა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებანი.

როგორც ხედავთ ამ საკითხში ჩვენ თეორიულათ და პრაქტიკულათაც სრულებით მართალი ვართ და სავსებით მარქსისტულ ნიადაგზე ვდგევართ. ამას გვიდასტურებს თვით ლენინი.

მაშ რატომ გვებრძვიან ამ ნიადაგზე ადგილობრივი კომუნისტები და რატომ ამ უფლების დაცვას პროლეტარიატის დიქტატურის და მისი ინტერესების ღალატათ გვითვლიან?

ამის ახსნა უნდა ვეძიოთ ან მათ უვიცობაში, ან მათ ბოროტებაში.

დამეთანხმებით, რომ არც ერთი და არც მეორე „не дѣлает им чести...“

**მეგობარი.**

## პრესა

„კომუნისტებს“ სჩვევიათ სრულიად აშკარა, უტყუარი, დამტკიცებული ფაქტების უარყოფა. ამ ჩვეულებას ისინი მიმართავენ ხოლმე მეტადრე იმ შემთ- [illegible]

## დემოკრატია და დემოკრატია
კარლ კაუცკი.

[illegible]

საზოგადოთ, სრულ დემოკრატიისთვის.

და მით უფრო გასაკვირველია, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (ბალშევიკებმა) 1917 წ. სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათანავე არა ჩვეულებრივი სისწრაფით გააუქმა სულ მოკლე ხანში მოპოებული, (ცარიზმის დამხობით) დემოკრატია, მისი საყოველთაო საარჩევნო უფლება, ბეჭვდითი სიტყვის, კრებების და სხ. სრული თავისუფლებები, და დემოკრატიის ადგილას აღმართა ახალი არისტოკრატია—ყველა არისტოკრატიაზე უფრო გასაკვირველი—**პროლეტარული არისტოკრატია.**

წინათ ამაზედ არავინ ჰფიქრობდა. პროლეტარიატი ისე მჭიდროთ შეეთვისა დემოკრატიას, რომ ახალი ბატონები თვით ვერ ბედავდენ დაერქვათ თავისი სახელი საკუთარ მოქმედებისათვის. ისინი ცდილობდენ სახელი გაეტეხათ მუშათა კლასში დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებისათვის, უწოდებდნენ რა იმას „ბურჟუაზიულ დემოკრატიას“. ახალ საბჭოთა არისტოკრატიის ფორმას კი არქმევდნენ **პროლეტარულ დემოკრატიას**, და ამით სურდათ გაეხადათ ის უფრო მიმზიდველი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მმართველობის დემოკრატიულ ფორმისა და განსაზღვრულ კლასის ბატონობის შორის იგივეობითი ნიშანის გავლენა—უაზრობაა. **ის წესწყობილება, რომელსაც ფუძეთა აქვს ერთ განსაზღვრული კლასის ბატონობა, მუდამ არის არისტოკრატიული წესწყობილება.**

როგორ საკვირველადაც არ უნდა გვეჩვენოს თვით წარმოდგენაც პროლეტარულ არისტოკრატიაზედ, იმან მაინც მოიპოვა პოპულიარობა იმ ქვეყნებში, სადაც ამ ჟამად სოციალ პოლიტური პირობები არ აძლევენ პროლეტარიატს ნებას უახლოეს ხანში მოიპოვოს პოლიტიკური ძალა-უფლება დემოკრატიის საშუალებით. მაგრამ ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ **რუსულ მეთოდს** უფრო სწრაფათ მივყევართ მიზნისაკენ, ივიწყებენ, რომ ის (მეთოდი) არის განსაკუთრებულ გარემოების პროდუქტი. ყველა ცდა, მიმართული იმისკენ, რომ რუსეთის გარეთ ხელოვნურათ შექმნან ამგვარი გარემოებები, მარცხდება, როგორც საზოგადოთ აუცილებლათ მარცხდება ყოველივე ბუნტარობა.

პროლეტარიატის კლასობრივი მდგომარეობა იმგვარია, რომ იგი ნორმალურ პირობებში უარყოფს ყოველივე შესაძლებლობას მის იმგვარ ძალათ გადაქცევისა, რომელსაც შეეძლება არისტოკრატიის შექმნა. იქ, სადაც პროლეტარიატმა რიცხვით, შეკავშირებით და დამოუკიდებლობით იმდენათ გადაამეტა სხვა კლასებს, რომ იმას სრულიადაც არა სჭირდება თავისათვის პრივილეგიურ მდგომარეობის მოპოება არისტოკრატიულ წესწყობილების შექმნის გზით, ის მტკიცეთ და ბევრათ უფრო ადრე მიაღწევს თავის მიზნებს დემოკრატიის საშუალებით.

არა მარტო არისტოკრატიულ პრივილეგიების მოპოებას უძნელებს კლასობრივი მდგომარეობა პროლეტარიატს; ის შეუთანხმებელია ამ პრივილეგიების დიდხანს შენარჩუნების შესაძლებლობასთან.

აქამდის არისტოკრატები მუდამ გამოდიოდნენ გაბატონებულ კლასებიდან. ექსპლოატაციის გამო იმათ ჰქონდათ საშუალება და დრო გაენვითარებინათ სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო უნარი, ისინი ამას, რასაკვირველია, უფრო კარგათ ახერხებდნენ, ვიდრე მშრომელი მასები. საშუალო საუკუნოებში მხოლოდ წარჩინებულნი ატარებდნენ იარაღს, ეკლესია,—ესეც თავისებური არისტოკრატია, ფლობდა უმაღლეს ცოდნას, როგორც განსაკუთრებულ უფლებას. ხალხის მასები უვიცნი და დაუფარავნი იყვნენ. ამაზე იყო დაფუძნებული საშუალო საუკუნოების არისტოკრატიის ძალა.

ჩვენი დროის მომუშავე პროლეტარს არა აქვს არც საშუალება, არც დრო, რომ დასჯაბნოს აქამდის გაბატონებული კლასები ან საერთო განვითარებით, ან სპეციალური ცოდნით სამხედრო და სახელმწიფოებრივ მმართველობის სფეროში. პროლეტარულმა დემოკრატიამ უნდა ამოარჩიოს: ან ის იქნება იძულებული გადასცეს არმიის ხელმძღვანელობა **ძველ ოფიცრებს**, სახელმწიფოებრივ საქმეების გამგებლობა **ინტელიგენციას**, ბურჟუაზიულ წრეებიდან გამოსულს, ან და პროლეტარებმა თვით უნდა შეიძინონ ეს ცოდნა და შესწყვიტონ თავისი მონაწილეობა წარმოების პროცესში. მაშინ ეს განვითარება მოხდება წარმოების შემცირებით, რომელიც იწვევს დაცემას და შეიძლება სრულიადაც განადგურდეს.

ხელოსნების კლასს, მართალია, შეუძლია მივიდეს იმ დასკვნამდის, რომ ის სდგას სხვა კლასების პოლიტიკურ განვითარების თანაბარ დონეზედ, რის შემდეგ დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალა-უფლება შეიძლება გადავიდეს მის ხელში, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში თუ ის არის ყველაზედ მრავალ რიცხოვანი კლასი, ე. ი. თუ ჯარი წარმოადგენს სამოქალაქო მილიციას. ეს კლასი ვერასოდეს ვერ მიაღწევს, ექსპლოატაციას მიჩვეულ არისტოკრატიის მსგავსათ—ამგვარ მდგომარეობას, როდესაც ის განათლებით გადააჭარბებდა ყველა სხვა კლასებს და როდესაც ეს უკანასკნელნი უძლურნი აღმოჩნდებოდენ ხელოსანთა კლასის, როგორც ერთად ერთ შეიარაღებულ ძალის, წინააღმდეგ.

რამდენათაც საბჭოთა არისტოკრატია ხაზს უსვამს თავის ბატონობის ხასიათს, მით უფრო იძულებულია ის დიდი რიცხვი პროლეტარიატის საუკეთესო ელემენტებისა გამოიყვანოს წარმოებიდან და ჩააბას არმიასა და ბიუროკრატიაში.

რაც უფრო მეტათ ეცდება ის ასწიოს შრომის ნაყოფიერება, მით უფრო პროლეტარების მეტს რიცხვი იძულებული იქნება დაუთმოს სახელმწიფოებრივი მუშაობა არაპროლეტარულ ელემენტებს.

ამგვარათ, პროლეტარული არისტოკრატია იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც იმის არსებობა შესაძლებელი ხდება, ჰქანაობს წარმოების განვითარების სცილლასა და ახალ მილიტარისტულ ბიუროკრატიულ ავტოკრატიის ხარიბდას შორის.

**პროლეტარიატის ნორმალური გზა, რომლითაც იგი მიდის პოლიტიკურ ძალაუფლების ბრძოლით მოსაპოვებლათ და ხანგრძლივათ ხელში დასაჭერათ—არის დემოკრატიული წესწყობილება.**

რასაკვირველია, ესა თუ ის სახელმწიფოებრივი წესწყობილება, თუნდაც უაღრესად განვითარებული, ვერ დააკმაყოფილებს პროლეტარიატის მოთხოვნილებებს. კაპიტალისტურ ექსპლოატაციის სიმძიმე ამით არ ისპობა. **ჩვენ ვისწრაფვით დემოკრატიულ წესწყობილებისაკენ არა იმიტომ, რომ იგი ადვილათ წარმოგვიდგენია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საუკეთესო ნიადაგია კაპიტალსა და პროლეტარიატის შორის კლასიურ**

## სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება
### 10.
### შვეცია

[illegible]

ბული ბეჭვდის თავისუფლებას და მის კანონებს. არსებობს ჩვეულებრივი კონსტიტუციური გარანტიები პიროვნების.

ორი საკანონმდებლო პალატაა: პირველი პალატა—ზედა და მეორე პალატა—ქვედა. მათი საერთო სახელია **რიგსტაგი** (პარლამენტი).

რიგსტაგი წარმოადგენს შვეციის ხალხს. მისი ორი პალატა **სრულიად ერთნაირი უფლების და ერთნაირი ავტორიტეტის არის.**

ქვედა პალატაში 230 წევრია. იგი ირჩევა სამი წლით. დეპუტატების დიდს უმრავლესობას ირჩევენ სასოფლო თემები, ხოლო უმცირესობას (80) ქალაქები. არჩევნები ზოგან პირდაპირია, ზოგან არაპირდაპირი, დამოკიდებულია ამრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე. არის ცენზი. ყველა ამრჩეველი აირჩევა დეპუტატად.

ზედაპალატა 9 წლით ირჩევა. იქ ირიცხება 150 წევრი. მათ ირჩევენ არა მოქალაქენი პირდაპირ, არამედ პროვინციალური და მუნიციპალური საბჭოები. ასარჩევთათვის არსებობს ერთობ დიდი ცენზი ქონებრივი და სხ. უნდა იყოს უთუოდ 35 წლისა.

პარლამენტის წევრნი პასუხს არ აგებენ სიტყვისა და კენჭის ყრისთვის. გასამრჯელოსა და საგზაოს ღებულობენ მხოლოდ ქვედა პალატის წევრები.

ქვედა პალატის წევრთ არ შეუძლიათ უმიზეზოთ დაანებონ თავი დეპუტატობას. მიზეზად ითვლება: რაიმე დაბრკოლება, რომელსაც კანონი იცნობს კანონიერ მიზეზად, მოხუცებულება (60 წელზე მეტი) და სხ. თვითეულ პალატას აქვს უფლება დააჯარიმოს თავის წევრი, რომელიც თავის დროზე არ ცხადდება რიგსტაგში.

რიგსტაგი ირჩევს ყოველთვის მუდმივ კომისიებს, მაგ., საკონსტიტუციო კომისიას, საფინანსო კომისიას, საკანონმდებლო კომისიას და სხ. ამ კომისიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ შვეციის საკანონმდებლო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს კომისიები საერთოა ორივე პალატისათვის, მთელი რიგსტაგისათვის.

საკონსტიტუციო კომისია იხილავს სახელმწიფოს ძირითად კანონებს და, თუ საჭიროთ დაინახა, შეაქვს რიგსტაგში წინადადება მათ შესაცვლელათ და შესასწორებლათ. აგრეთვე დასკვნას აძლევს ყველა საკონსტიტუციო საკითხზე, რომელსაც გადასცემს რეიგსტაგი.

საკამონმდებლო კომისია იხილავს ყველა პროექტს, წინადადებას, განმარტებას ცვლილებას სამოქალაქო, სისხლის სამართლის, კომუნალურ საეკლესიო და სხ. კანონებისას.

ყოველ ჩვეულებრივ სესიაში რიგსტაგი ირჩევს 48 ამორჩეულს, თვითეული პალატიდან 24, ესენი კი თავის მხრით ირჩევენ დელეგატებს, რომლებიც მმართავენ განსაკუთრებულ რეგლამენტის თანახმად სახელმწიფო ბანკის კაპიტალს და საკუთრებას და სახელმწიფო ვალის კასას.

რიგსტაგი აგრეთვე ირჩევს განსაკუთრებულ კომისიებს სასამართლოს მოქმედების კანონიერების თვალყურის სადევნებლად და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების კანონის დაცვის სამეთვალყუროდ.

ამასთანავე რიგსტაგი ირჩევს საპარლამენტო დასვენების დროისთვის იუსტიციის მცველს, ე. წ. რიგსტაგის პროკურორს განსაკუთრებით კონსტიტუციის იმ მუხლთა სწორად ასრულებისათვის, რომელნიც უზრუნველყოფენ პიროვნების უფლებებს. იუსტიციის მცველს მარტო ეს უფლება მოვალეობა როდი აქვს. მას შეუძლიან აგრეთვე პასუხისგებაში მისცეს მინისტრები, მოსამართლენი და მოხელენი.

აი ეთია შვეციის სახელმწიფო უფლების ნიშანდობლივი თვისებანი.

კონსტიტუციის შეცვლა შეიძლება შემდეგ ნაირათ: ცვლილების წინადადებას უნდა მიემხროს ჯერ ერთი რიგსტაგი. შემდეგ ახალმა რიგსტაგმა ხელახლა უნდა მიიღოს ეს წინადადება. ამნაირათ მიღებული გადაშინჯვის წინადადება წარედგინება მეფეს დასამტკიცებლად.

სახელმწიფო ოლქებად არის დაყოფილი. თვითმართველობის ორგანოებს ირჩევენ ორსართულიანი საარჩევნო სისტემით. არის პატარა ცენზი. კომუნალური კანონები საზღვრავენ—რამდენათ შეუძლიათ თვითმართველობის კავშირებს, თემებს და კომუნებს თვითდაბეგვრის უფლება ისარგებლონ თავის ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

ნ. ხაჭარ

წინააღმდეგობათა გადასაწყვეტათ.

და დემოკრატიზმში ჩვენ არ ვხედავთ სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ყველა იმ პრობლემათა გადაჭრის შესაძლებლობას, რომლებიც თავს იჩენს ამ სოციალიზაციის საუკუნეში და რომელიც გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო, როგორც ძალა-უფლების აპარატი გადაიქცეს ადმინისტრატიულ აპარატათ სოციალისტურ მიზნებისთვის. საყოველთაო, პირდაპირ საარჩევნო უფლებაზე დაფუძნებულ ორგანოებთან ერთად დიდი როლი მიეკუთვნება სპეციალისტების კორპორაციებს, პროფესიონალურ ორგანიზაციებს, პროფესიონალურ კავშირების სახით, მუშათა საბჭოებს, პალატებს და სხ. ამ სფეროში ჩვენ კიდევ ბევრის შესწავლა დაგვჭირდება და ბევრ სასარგებლო ცნობებს მოგვცემს ახლა რუსეთის საბჭოების ცდა.

ამნაირად, ვერც დემოკრატიზმი მიაღწევს სოციალისტურ წარმოების ორგანიზაციას. მაგრამ თუ ჩვენს წინაშე სდგას ასეთი საკითხი: ყველას სწორ უფლებიანობა თუ ერთი კლასის უფლებიანობა, **დემოკრატია თუ არისტოკრატია**, ჩვენ ვირჩევთ პირველს და მას ვაძლევთ უპირატესობას, თუნდაც პროლეტარულ არისტოკრატიის წინაშე.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 აგვისტო.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი**, აგვ. 7. ლომჟის დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ მიშენეცი და სნიადოვო, ახტრალენკოსთან ბრძოლაა. გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ კუნძული სედლეცის მიმართულებით, ბუგის მარცხენა ნაპირზე გრძელდება სასტიკი ბრძოლები. ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ჩვენ დავიჭირეთ ტერესპოლი. ბროდის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბროდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი დაამარცხა, ხელთ იგდო ნადავლი, და (დამახინჯებულია)... მიაღწია ჩვენი ჯარი მდინარე სტრიპაზე გადავიდა და ბუგის სამხრეთით მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე სოფლები დაიკავა. ყირიმის მხარეში, ალექსანდროვსკის რაიონში, ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ქალ. ალექსანდროვი. პოლონეთის გენერალმა გლეხებს მიმართა მოწოდებით, სადაც მოუწოდებს ყველა მათ, ვისაც შეუძლია იარაღის ხმარება, ჩაეწერონ მოხალისეთა რაზმში, რათა მოსალოდნელ უბედურობისაგან დაიცვან ლვოვი, რომლის დაცემაც კარებს გახსნის ვარშავისაკენ.

**საბჭოთა რუსეთი და რუმინეთი.**

**მოსკოვი**, აგვისტოს 7. საგარეო საქ. კომისარმა ჩიჩერინმა რუმინეთის საგ. საქ. მინისტრს განცხადებით მიმართა (დამახინჯებულია) საბჭოთა მთავრობა მოელის პასუხს რუმინეთისაგან მოლაპარაკების ადგილის დანიშვნის შესახებ, — იმ შემთხვევაში, თუ რუმინეთის მთავრობა არ მოისურვებს ხარკოვში მოლაპარაკების წარმოებას.

**ფრანგული ცნობები.**

**პოლონეთის გარშემო.**

ოთხშაბათს — ლოიდ ჯორჯს კრასინთან და კამენევთან ინტერვიუ ჰქონდა. მან განაცხადა: თუ ბოლშევიკები არ შეაჩერებენ ვარშავაზე შეტევას, მაშინ დაუყოვნებლივ შესწყდება ყოველგვარი დამოკიდებულებაო.

„ტანის" — მიერ პოლონეთიდან მიღებულ ცნობით მდგომარეობა იქ მტკიცე ყოფილა. წითლები ბრესტ-ლიტოვსკის ჩრდილოეთით ბუგზე გადასვლის შემდეგ ვარშავისკენ აღარ იწევენ. წითელმა ჯარმა, რომელიც პრუსია-პოლონეთის საზღვრის გასწვრივ მიდის, რათა დანციგ-ვარშავის გზა გადასჭრას, ოსტროლენკის მიაღწია. პოლონელები მათ ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ. ჟიუსერანი და ლორდი დ-აბერნონი პოლონეთიდან წავიდენ. ისინი თავის მთავრობებს მოხსენებას წარუდგენენ პოლონეთის მდგომარეობის შესახებ.

ბოლშევიკების ცნობის თანახმად წითელი ჯარი ბუგზე გადავიდა და ვარშავას უახლოვდებიან.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისი საბჭოთა მთავრობას უგზავნის ნოტას, სადაც გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ მან ივლ. 29 ნოტაზე პასუხი ვერ მიიღო. ინგლისი აფრთხილებს საბჭოთა მთავრობას, რომ თუ იგი განაგრძობს სიჩუმეს და პოლონეთისაგან ერთსა და იმავე დროს ზავსა და დროებით ზავზე მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვს, იმ შემთხვევაში ლონდონის კონფერენცია არ შესდგება.

**სმირნის და ფრაკიის შესახებ.**

ლორდ კერზონმა ქვედა პალატაში განაცხადა: „პროვინცია სმირნაში ბერძნები უმრავლესობას წარმოადგენენ, ისევე შეიძლება ითქვას ფრაკიის შესახებ, რაც შეეხება კონსტანტინოპოლს, ის დატოვებულია ოსმალეთის ხელში, რათა დაკმაყოფილებულ ყოფილიყო მუსულმანთა სურვილი. მისი აზრით მომავალი გვიჩვენებს, თუ ეს დათმობა რამდენათ... (დამახინჯებულია)...

---

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ცნობები.**

**ლაფონის გადასახლების გამო.**

**მოსკოვი**, 4 აგვისტო. (რადიო). საფრანგეთის დეპუტატის ლაფონის რუსეთიდან გაძევების შესახებ მოგვყავს რესპუბლიკის რევოლ. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტროცკის ბრძანება: 1920 წ. 31 ივლისი. მოქალაქე ერნესტ ლაფონი თავის მეუღლე ზინაიდა ლაფონთან ერთად რუსეთში ჩამოვიდა პოლონეთით; ვარშავაში მან ინახულა საფრანგეთის სამხედრო მისია, რომელიც სოციალისტურ რესპუბლიკის საწინააღმდეგო ყველა იმპერიალისტურ კონტრ-რევოლიუციონურ სამტრო მოქმედების ცენტრადაა გადაქცეული. რუსეთში ჩამოსვლისას თავისი ინიციატივით არავითარი განმარტება არ მისცა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას, არ მიიღო დაუყოვნებლივ არავითარი ზომები, რომ საბჭოთა მთავრობისთვის გაეადვილებინა ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა. კერძო საუბარში კი, ამხ. ჟაკ სადულის თანადასწრებით დეპუტატმა ლაფონმა გამოაქვეყნა უაღრესათ საინტერესო ცნობები, რომელიც შეეხებოდა ვარშავაში მის ყოფნას. დეპუტატ ლაფონის სიტყვის აზრი, ამხ. ჟაკ სადულის გადმოცემით, რომლის კეთილსინდისიერება და ცოდნა ვერავისში ეჭვს ვერ გამოიწვევს, მოწმობს, რომ პოლონეთის შეტევის ერთი უბოროტეს მოწყობთაგანი სოციალ-შოვინისტი დაშინსკი, რომელიც ეხლა პოლონეთის მთავრობის წევრია, რუსეთთან დროებით ზავს ისე უყურებს, როგორც დასვენების საშუალებას, რომელმაც უნდა გაადვილოს სამხედრო ძალების შედგენა რუსეთზე ახალი თავდასხმის მოსახდენათ. როდესაც მე შევეკითხე დეპ. ლაფონს, მან არ უარჰყო პოლონეთის ასეთ შეხედულება საზავო ნაბიჯებზე, მაგრამ დაჟინებით უარყოფდა თავისი სიტყვის ზემოაღნიშნულ აზრს.

მაგრამ მიუხედავათ იმისა, თუ რით განისაზღვრება დეპ. ლაფონის განცხადება, თავის თავად რჩება ის ურყევი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ლაფონი თავის თავს სოციალისტად სთვლის, მიემგზავრება პარიზ დან ვარშავაში, აქედან მოსკოვში, ამხანაგურათ ესაუბრება დაშინსკის, საფრანგეთის მისიის წევრებს და საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ საზიზღარ შეტევის სხვა მოწყობთ, და შეგნებულათ უარს ამბობს პოლონელ სოციალ-შოვინისტების მუხანათურ პოლიტიკის გაკიცხვაზე პოლონეთის, საფრანგეთის და რუსეთის პროლეტარიატის წინაშე.

არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ პოლონეთის სოციალ-შოვინისტებისადმი დეპ. ლაფონის მუხანათური დამოკიდებულება არ გამოიღებს ისეთ შედეგებს, რომელიც სახიფათოდ გახდის მის დარჩენას რუსეთში.

**ვარშავაზე შეტევა.**

**მოსკოვი**. 6 აგვისტო. ვარშავაზე შეტევა მარჯვეთ ვითარდება. ჩვენი მოწინავე ნაწილები ვარშავას 60—80 ვერსით მიუახლოვდა.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**ვაშინგტონი**. ივლ. 18. შეერთებულმა შტატებმა ბრიუსელის საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციაში ოფიციალურად მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს.

მიღებულ ოფიციალურ ცნობის თანახმად, იაპონიის ჯარს დაუკავებია რუსეთის ზღვის პირის პროვინცია. აგრეთვე დაუკავებიათ ადგილები ვლადივასტოკის ახლო-მახლო.

**პრაგა**. ივლ. 20. ჩეხო-სლოვაკიის წითელი ჯვრის თავმჯდომარემ ალისა მასარიკმა მოსკოვში რადიოთი პროტესტი გაგზავნა ჩეხო-სლოვაკიაში რუსეთის წითელი ჯვრის მისიის მოქმედების გამო. მასარიკი აცხადებს: რუსეთის მისიის წევრები გვერდს უხვევენ თავის პირდაპირ მოვალეობას და ან ვაჭრობენ, ან კიდევ პროპაგანდას ეწევიანო. ჩეხო-სლოვაკიის წითელი ჯვარი მოითხოვს, რომ მისიამ იმუშავოს მხოლოდ სამხედრო ტყვეების რუსეთში გაგზავნის საქმეების მოსაწესრიგებლად.

ადერბეიჯანიდან თითეულ პირს ნება ეძლევა გამოიტანოს არა უმეტეს 50,000 მან. უცხო ვალიუტის გამოტანა აკრძალულია, ასე რომ ამიერ-კავკასიის ბონების გამოტანა არ შეიძლება.

**თფილისი**. აგვისტოს 7. მიღებული ცნობით კავკავში დაუკავებიათ სომხეთისა და სპარსეთის საელჩოები მთელი შემადგენლობით.

## იტალიის სააგენტოს ცნობა

**ლონდონი**. აგვ. 5. ეჟენინგ ნიუსის ცნობით საფრანგეთისა და ინგლისის მისიებს დაუტოვებიათ ვარშავა.

**კონსტანტინოპოლი**. აგვ. 5 გენ. ვრანგელმა მარიუპოლზე შეტევისას დაამარცხა საბჭოთა არმიის ცხენოსანთა მეორე ჯარი. წამოიყვანა მრავალი ტყვე და წამოიღო მრავალი ტყვიის მფრქვევლი და ზარბაზანი.

**ბერლინი**. ვოლფის სააგენტო უარყოფს რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას პოლონელების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

## სესხი ქალაქებს სასურსათო ოპერაციებისათვის.

მთავრობამ 3 აგვისტოს სხდომაზე განიხილა თფილისის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა სასურსათო ოპერაციების გაფართოვებისათვის 50 მილიონ მანეთის უპროცენტო და ხანგრძლივი სესხის მიცემის შესახებ. ქალაქის თვითმართველობა აღნიშნავს, რომ სასურსათო საკითხის საერთოდ გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თფილისი, რომელიც თავის ცენტრალურ მდგომარეობის გამო ფასების დაწესებაში ახდენს გავლენას რესპუბლიკის სხვა ქალაქებზე. მაგალითმა გვიჩვენა, რომ ქალაქის მონაწილეობამ მცხოვრებლებზე სურსათის მიწოდებაში შესამჩნევი გავლენა იქონია ბაზარზე. ფასების ზრდა არამც თუ შეჩერდა, არამედ დაეცა კიდეც. ახლა ზოგიერთ საქონელზე ფასების აწევა შედეგია ვალიუტის გაძვირებისა. დღემდე სავაჭრო ოპერაციებისათვის ქალაქი მიმართავდა კერძო ბანკების სესხს, რაც იწვევდა საქონლის გაძვირებას, მაშინ, როდესაც ყოველი ზომა უნდა იქნას მიღებული მის გასაიაფებლად. შემდეგ ქალაქის თვითმართველობა დაწვრილებით ჩამოთვლის იმ სანოვაგეთ, რომელიც უნდა შეისყიდოს ქალაქმა; ამათ რიცხვში შედის: შეშა, რძის პროდუქტი, ხორცი, ხორბალი, კარტოფილი და სხვ. სულ 110 მილიონის ხორბალი უნდა იქნას შეძენილი, თუმცა ქალაქის თვითმართველობა კი კმაყოფილდება 50 მილიონ მანეთის სესხით. მთავრობამ დაადგინა მისცეს თფილისის ქალაქის თვითმართველობას აღნიშნულ რაოდენობის სესხი 2 წლის ვადით 5%. ეს თანხა უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო კონტროლის მეთვალყურეობით. შესაფერისი დეკრეტი შეტანილ უნდა იქმნას დამფუძნებელ კრებაში. (სდს).

***

მამაკაცი ვყოფილიყავ, ჯავრზე ღვინოს გადავკრავდი!
სიდუხჭირე არ მეშვება, ტყვეთა ვყევარ მე აქამდი;
აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვერას გავხდი, ვერა... ვერა!
მეტის მირბენ-მორბენითა ამივარდა გულის ძგერა.

იქ მივმართე, აქ მივმართე, დავიმცირე ყველგან თავი;
ყველამ „არა" მომახალა — გავბოროტდი, გავხდი ავი;
მამაკაცი ვყოფილიყავ, ჯავრზე გადავკრავდი ღვინოს...
ყველა პატივ-შელახულმა მასთან უნდა მიირბინოს!

**ბაბილინა.**

## სომხეთში.

**სამხედრო ცნობა.**

ერევანი, 5 აგვისტო.

სარაყამიშის მიმართულებით 3 აგვისტოს 23 საათზე ჩემბარდაგის მთის რაიონში ოსმალებმა შეტევა დაიწყეს. 4 აგვისტოს 5 საათისთვის ოსმალთა შემოტევა მოიგერიეს.

დარალაგეზის ფრონტზე 3 აგვისტოს ავიღეთ და გავამაგრეთ დარალაგიაზის ხევის კარი.

არაქსზე 1 აგვისტოს თათრებმა, რომლებსაც მდ. მარჯვენა ნაპირიდან სროლით ეხმარებოდენ, სოფ. შიდლუს რაიონში აქეთ მხარეზე გადმოსვლას ცდილობდენ, მაგრამ ჩვენმა სადარაჯო რაზმებმა უკუაქციეს.

**ზანგეზურის მიმართულებით** 2 აგვისტოს 14 საათზე მედგარი შეტევით მტერს ბულდატანი და ეღანტანი დავატოვებინეთ. მინკენდან წამოსული მეთაბარები დავამარცხეთ და უკუვაქციეთ. 16 საათზე აპრაგიადუკს მივაღწიეთ იანტანა-დაშლანა-ალტაკა უტ ნას ხაზზე. 20 ს. იქ ზარბაზნების, თოფების და ტყვიისმფრქვეველებით მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა. 24 ს. ჩვენმა ქვეითა და ცხენოსანმა ჯარმა მედგარი შეტევით მტერს დაახევინა და ტყვიისმფრქვეველები წაართვა.

**გერიუსის აღება.** 3 აგვისტოს 5 ს. და 20 წ. მცირე ხნის სროლის შემდეგ გერიუსის მაღლობები დავიჭირეთ. 6 ს. და 30 წ. ჩვენმა ჯარმა გერიუსი აიღო. დანამდვილებით გამოირკვა, რომ გერიუსის რაიონში ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 1500-მდე წითელ არმიელი, რომელნიც ეხლა, ჩვენი ჯარის მიერ დევნილნი, თავზარდაცემულნი გარბიან. (სომხ. დეპ. სააგ.)

## ახალი ამბები

**ზანგეზურის ამბების გამო.** პარასკევს, 6 აგვისტოს თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარემ ამხ. ალ. ხელაძემ რიგს გარეშე მოხსენება გააკეთა სომხეთში საბჭოთა ჯარების შესევის შესახებ. კრებამ ერთხმად გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

◆ **საპენსიო წესების დამუშავება.** დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის ა. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგა დამფ. კრების და სამხედრო კომისიის პრეზიდიუმის შეერთებული სხდომა, ფრაქციების შრომის კომისიის და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით; განხილულ იქმნა საპენსიო წესდების შესადგენად მუშაობის დაჩქარების საკითხი. ა. ლომთათიძის წინადადებით თათბირმა დაადგინა შეტანილ იქმნას დამფ. კრებაში წინადადება, რომ დაარსდეს საპენსიო წესდების შესამუშავებლად სპეციალური კომისია, რომელმაც უწყებათა წარმომადგენლების მახლობელ მონაწილეობით, მათ შორის შრომის სამინისტროსიც, ამ საკითხის დამუშავება უნდა დააჩქაროს.

◆ **ოსმალთა აგენტების დაპატიმრება.** ამას წინად სოხუმის ნაპირებს მოადგა საიდუმლოთ ოსმალთა ფელუგა, რომლითაც ჩამოვიდენ ოსმალთა აგენტები და შეუდგენ ფარულად იარაღის შესყიდვას. გამოირკვა, რომ ესენი ფულს არ იშურებენ და ერთი ათად ძვირათ ყიდულობენ თოფებს და რევოლვერებს. მიიღო თუ არა ცნობები ამის შესახებ მილიციის უფროსმა ერთ თავის აგენტს წინადადება მიეცა მათთვის შესყიდნათ 25 თოფი 50 000 მანეთად. შეადგინეს ორი რაზმი; ერთი ჩაუსაფრდა ოსმალეთის აგენტს, რომელიც იარაღის სასყიდლათ უნდა მოსულიყო, მეორე რაზმი კი მილიციის უფროსის მეთაურობით გაემართა ზღვის ნაპირზე ფელუგის დასაჭერათ. მაგრამ ფელუგამ მოასწრო ზღვაში მიმალვა. მაშინ რაზმი გემ „ქეროხზე" გავიდა ზღვაში ოსმალთა აგენტების ფელუგის დასადევნებლათ. როდე აც „ქეროხი" ამ ფელუგას მიუახლოვდა, იქიდან დაიწყეს იარაღის გადაყრა ზღვაში. გაჩხრეკის დროს ფელუგაზე აღმოჩნდა თოფების სხვადასხვა მრავალი ნაწილები. „ქეროხმა" ეს ფელუგა ბუქსირით სოხუმში მოიყვანა.

◆ **რუსეთ-სომხეთის საზავო მოლაპარაკება.** თფილისში ჩამოვიდა სომხეთის გზათა მინისტრი ა. ჯამალიანი, ა. ბაბალიანი და დ-რ იუზბაშიანი, რომელთაც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ ბ-ნ ლეგრანთან საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ რწმუნებულება აქვთ მინიჭებული.

◆ **თფილისის კომენდანტმა გამოსცა ბრძანება,** სადაც აცხადებს, რომ ნამდვილ სამხედრო სამსახურის გარეშე მყოფი პირნი სამხედრო ფორმის ტარებისთვის მკაცრათ დაისჯებიან, ხოლო ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფნი კი მოვალენი არიან სასტიკათ დაიცვან მათთვის შემოღებული და დაკანონებული წესი.

◆ **წესიერების დამრღვევ ოფიცერთა დასჯა თფილისის კომენდანტის მიერ.** სათადარიგო პორუჩიკი თედიაშვილი დაპატიმრებულია და გაგზავნილი სამხედრო ციხეში უწესოებისათვის, რომელიც მან მოახდინა სიმთვრალისას პლეხანოვის პროსპექტზე ა. წ. 29 ივლისის ღამეს. საქმის გამოძიება გადაეცა მე 9-ე უბნის სასამართლოს გამომძიებელს.

— მე-5 ე ათასეულის ლეიტენანტი ბაკლანაშვილი დაპატიმრებულია სამხედრო ჰაუპტვახტში მოთავსებით ა. წ. 26 ივლისს საღამოს 12 საათზე მუხრანის ხიდთან სიმთვრალის დროს მილიციონერებთან ჩხუბისათვის.

◆ **ყაჩაღთა ბრბოს ლიკვიდაცია.** შინ. საქმეთა სამინისტროს დუშეთიდან დეპეშით აცნობებენ: თიონეთის მაზრის საზღვართან მდებარე სოფელ ახატანის რაიონში ყაჩაღთა ბრბოს ლიკვიდაცია მოხდინა სახალხო გვარდიელთა და მილიციონერთა რაზმმა ადგილობრივ გვარდიის უფროსის შუშიაშვილის მეთაურობით. შეპყრობილ ყაჩაღებს აღმოაჩნდათ მრავალი საბუთი, 2 ყაჩაღი მოკლულია, ერთი დაჭრილი.

◆ **ბოროტ-მოქმედება ხორბლის გატანის დროს.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა და მომარაგების სამინისტროებს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავს, რომ დღიდან რკინის გზებზე ხორბლის და ფქვილის გადატანის შეზღუდვისა და ამის გამო განსაკუთრებულ კანონების გამოცემისა, შემდეგი არა ნორმალური მოვლენა გამოირკვა: სპეკულიანტებმა გამონახეს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან და პურის ბარგს ფოსტით გზავნიან, რის გამო საფოსტო ვაგონები პურის და ხორბლის ბარგით ივსებოდა. ვინაიდან ეს მოვლენა არსებითად არის პურის და ხორბლის გატანის შეზღუდვის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა დარღვევა, საჭირო არის სათანადო განკარგულების გამოცემა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გზათა მიმოსვლის განცხადების ასლი გადაუგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს და წინადადება მისცა აღნიშნულ ბოროტ მოქმედების მოსასპობად მიიღოს შესაფერი ზომები.

◆ **ბათომის ოლქის მუშების და მოსამსახურეებისათვის სურსათი.** შრომის სამინისტრომ დამფ. კრებაში წარადგინა პროექტი დეკრეტისა ბათომის ოლქის მუშებისა და მოსამსახურეთათვის სურსათ-სანოვაგის შესაძენად საჭირო თანხის გაღების შესახებ. დეკრეტის პროექტთან თანდართულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბათომის ოლქში ინგლისის ოკუპაციის დროს არანორმალური მდგომარეობა შეიქმნაო. სახელდობრ, საქართველოს ვალიუტის კურსს ხელოვნურად სცემდენ და ძლიერ მაღალ შრომის ხელფასს აწესებდენ. ბათომის გადმოცემის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და დგება საკითხი შრომის ხელფასის გათანასწორების შესახებ. ამისათვის კი საჭიროა ბათომში მუშათა მაგიდის დაარსება, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიაწოდებს იაფ ფასებში პირველ საჭიროების საგნებს. ბათომის მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის შრომის სამინისტრო ითხოვს გაღებულ იქნას 100.000.000 მანეთი.

◆ **გაფიცვა ადამოვის ელექტრონის სადგურზე.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა ნება დართო მელითონეთა კავშირის გამგეობას ნაწილობრივი გაფიცვა გამოაცხადოს ადამოვის ელექტრონის სადგურზე, თუ დაუყოვნებლივ არ მოხსნა მუშაობიდან კავშირის დაუკითხავათ მიღებული 2 მუშა.

◆ **ხორბლის შეძენა.** მეფურნეთა ამქრის რწმუნებულები სასურსათო განყოფილების აგენტებთან ერთად გაემგზავრნენ ბორჩალოს მაზრაში ხორბლის შესაძენათ უშუამავლოთ პირდაპირ მწარმოებელთაგან.

◆ **ნიხრი საპონზე.** ქალაქის თვითმართველობამ შემუშავა ასეთი ნიხრი საპონზე: 1) ქალაქის მოსამსახურეებისა და მუშებისათვის ფუთი ეღირება 1.600 მან. სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის ფუთი 2000 მან. კერძო პირებისათვის კი ეღირება კოოპერატივთა კავშირისა და ერობის მიერ დადგენილ ნიხრის თანახმად.

◆ **ორთაჭალის მუშათა კლუბში** (ვორონცოვის ქუჩა) მე-6 რაიონის კოლექტივი ს. ს. დ. მ. პარტიისა მართავს კოლექტივის სასარგებლოდ დიდ სეირნობა საღამოს.

◆ **რკ. გზ. კულტურა-განათლების** კომისიამ მოაწყო მუშტაიდის ბაღში სახალხო სინემატოგრაფი. აჩვენებენ სურათებს კვირაში სამჯერ. კვირას, 8 აგვისტოს, ნაჩვენები იქნება იაფ-ფასებში საზ. „ფილმის" მიერ გადაღებული სურათი „ბათომის გადაცემა საქართველოზე".

◆ **საგანგებო ბათალიონის კულტურულ-განმანათლებელ** სექციასთან არსებული დრამატიული წრე ამ დღეებში გაემგზავრება ქ. ცხინვალში წარმოდგენების გასამართავად ფრონტზე მყოფ გვარდიელებისათვის.

— თეატრ „სახალხო გვარდიელის" გადაკეთება მოკლე დროში დასრულდება. მუშობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გვარდიელები.

— სექცია შემოდგომიდან შეუდგება სისტემატიურად წარმოდგენების გამართვას ახალ გადაკეთებულ თეატრში. მოწვეულია 4 მსახიობი ქალი, რომელთა დახმარებით დრამატიული წრე უკვე შეუდგა პიესების დამზადებას მომავალ სეზონისათვის.

◆ **სამოქალაქო პანაშვიდი.** დღეს, დილის 10 ს. წმ. ბარბარეს ეკლესიის გალავანში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, ვერაგულათ მოკლულ ამხანაგ ბაგრატ დარბაზოვის ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც ავლაბრელი ამხანაგები აუწყებენ ამხანაგებს და სთხოვენ დაესწრონ პანაშვიდს.

◆ **ახალი წიგნი.** მზადდება დასაბეჭდათ, რუსულ ენაზე, თფილ. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორის ს. ი. მესხის წიგნი „საქართველო გეოგრაფიული და ეკონომიური მიმოხილვა".

**კრებები.**

ორშაბათს—9 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. ბიუროს წევრებს სთხოვენ ერთი საათით ადრე მობრძანდენ.

— თფილისის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობის პრეზიდიუმი აუწყებს გამგეობის წევრებს, რომ მორიგი კრება გამგეობისა გადატანილია 9 აგვისტოდან (ორშაბათი) 11 აგვისტოსთვის (ოთხშაბათი).

**პროვინციის ქრონიკა.**

**ხაშური.** საზოგადო კრება ს. ს.-დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის წევრებისა, რომელიც დანიშნული იყო 8 აგვისტოსთვის სხვადასხვა მიზეზების გამო გადაიდო შემდეგი კვირისთვის.

## გადასახლების საქმე.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ დამფ. კრებას გადასახლებულთა საჭიროებისათვის ახალ კრედიტის გამოთხოვასთან ერთად, წარუდგინა მოხსენება გადასახლების საქმის მდგომარეობის შესახებ. განმარტებით ბარათში მინისტრი აღნიშნავს გადასახლების საქმის საერთო მდგომარეობას. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, თუ როგორ ინტენსიურად სწარმოებდა რესპუბლიკის თავისუფალ ადგილებზე გადასახლებულთა ჩასახლება. ამ საქმეს მოხმარდა დამფ. კრების მიერ ჯერ კიდევ შარშან ივლისში გადადებული 5 მილიონი მანეთი. ამ თანხით დასახლებული იქნება შემდეგი ადგილები: ლაგოდეხის რაიონში 7 სოფელი (1239 სული), ყარაიაზში 3 სოფელი (211 სული) და ტფილისის გუბერნიის ცენტრალურ ადგილებში 13 სოფელი. სულ სხვა და სხვა ადგილას სამინისტროს ჩაუსახლებია 534 იმერელი და რაჭველი, 263 ლტოლვილი ალაგირელი და სხვ. გარდა ამისა გამოკვლეულ იქნა ჯერ კიდევ ჩაუსახლებელი თავისუფალი ადგილები. გამოირკვა შესაძლებლობა ჩასახლებისა შემდეგ რაიონებში: გორის მაზრაში თავისუფალი—1013 დეს., თფილისის მაზრაში თავისუფალი—6607 დეს., თელავის მაზრაში თავისუფალია—3547 დეს., სხვადასხვა რაიონებში. სულ თავისუფალ 25,542 დესეტინა მიწაზე შეიძლება 2200—2300 სულის ჩასახლება. მაგრამ გადასახლების დროს გლეხები დიდ მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. მიწადმოქმედების სამინისტრო ფიქრობს: მათ, ვინც გადასახლების სურვილს გამოაცხადებს და ვინც ამაში საჭიროებს, მისცეს დახმარება: ოჯახის გადასაყვანად, სახლის ასაშენებლად, ერთი უღელი ხარისა და ურმის შესაძენად და სხვა საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად და აგრეთვე ახალ მოსავლამდე სურსათისა და საქონლის საკვების შესაძენად. სულ აღნიშნულ საჭიროებისათვის სამინისტრო თხოულობს 36,300,000 მანეთს. (სდს).

## მთავრობის პარკის დაწვის გამო

როგორც ადგილობრივ გამოძიებით გამოირკვა ქალ. ხონში 31 ივლისს მომხდარი კატასტროფა ყოფილა სტიქიური: ერთ მოქალაქის ოჯახში, მსახურის დაუდევრობით უეცრად გაჩენილა ცეცხლი და რადგანაც იმ დღეებში ჰქროდა არაჩვეულებრივი ზენა ქარი, ცეცხლი უეცრად გადასულა მახლობელ შენობებზე, (პარკის ფარდულებზეც) და რამოდენიმე წუთის განმავლობაში გაუნადგურებია ოცი მილიონ მანეთის საღირალი სხვადასხვა ქონება, რომლის უმეტესი ნაწილი კერძო მოქალაქეების საკუთრებას შეადგენდა და მხოლოდ ოთხნახევარ მილ მან. პარკი (დაახლოვებით 530 ფუთამდე ხმელი) შესყიდული ჰქონებია ადგილობრივ კოოპერატივს და საკრედიტო ამხანაგობას, მთავრობიდან მიღებული ავანსებით, როგორც ვიცით წელს მთავრობამ პარკის შესყიდვის და გახმობის საქმე მინდობილი აქვს ერობებზე, კოოპერატივებზე და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებზე. სულ ამ ჟამად აღნიშნულ ორგანიზაციებს პარკის შესყიდვა და გამოხრჩოლვა-გამოხმობა მოწყობილი აქვს ოცდაათ სხვადასხვა საამრეშუმო რაიონებში — სახელდობრ თელავში, თფილისში, ზესტაფონში, წიღვერში, ქუთაისში, ხონში, (რომელიც დაიწვა) ლანირ-ქვაგანში, სამტრედიაში, ტობანიერში, ვახში, საჯევახოში, საჭ მიასერში, ჩოხატაურში, ხიდისთავში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, აბაშაში, ბანძაში, ხობში, ზუგდიდში, ახუაში, ოქუმში, ოჩემჩირეში, დრანდაში და სხვა. როგორც ქალაქ ხონის პარკი, ისე ყველა ზემო აღნიშნული რაიონების პარკი დაზღვეული არ არის — ამის შესახებ შემდეგ მთავრობის მთავარი რწმუნებული ი. ქუთათელაძე ასეთ ცნობას იძლევა: „რასაკვირველია ვაიძულებდი ყველა ჩვენს ავანსატორებს — ერობებს, კოოპერატივებს და სხვებს, რომ მათ პარკი დაზღვეული ჰქონოდათ, როგორც ამას ნორმალურ დროში კანონიც მოითხოვდა, მაგრამ საუბედუროთ მთელს ჩვენს რესპუბლიკის ფარგლებში და რუსეთშიაც ამ ჟამად არ მოიპოვება არც ერთი დამზღვევი საზოგადოება, რომელსაც შეეძლოს რაიმე რეალური გარანტიის მიცემა და რა ზნეობრივი უფლება მექნებოდა მე, რომ მომეთხოვა 100 მილიონი მანეთის საქონლის დაზღვევა მხოლოდ ფორმისათვის და აუარებელი ხარჯში ჩამეყენებია მთავრობა დაზღვევის ჯილდოს სახით". საზოგადოთ სავალიუტო საქონლის დაზღვევის შესახებ ამ ორი თვის წინეთ მომარაგების სამინისტროს მიერ აღძრული იყო მთავრობის წინაშე პრინციპიალურად საკითხი თუ როგორ მოიქცეს უწყება, რომ უზრუნველ ჰყოს სავალიუტო საქონელი ცეცხლის მხრივ. მასთან სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას სახელმწიფო კონტროლის აზრი, რომ დაუშვებელია დაზღვევაზე ხარჯების გაწევა, თუ კი დამზღვევ საზოგადოებას მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების გარანტიის მიცემა არ შეუძლია და სხვა. როგორც გავიგეთ, დაზღვევის საკითხი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მთავრობის წრეებში დღიურ წესრიგში დაუსვამთ.

## ბათომის ოლქის მდგომარეობა

ბათომიდან ჩამოსულმა ბათომის ოლქის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა საქ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი გადასცა: ჩემი ჩამოსვლის მიზანია ბათომის ოლქის მართვა-გამგეობის შესახებ მთავრობისათვის მოხსენების გაკეთება. თავის მოხსენებაში ჩხიკვიშვილი ეხება ბათომის ოლქის ავტონომიურად მართველობის საკითხს. აღნიშნავს ოლქის რამდენიმეთ ჩამორჩენას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიდი ენერგიაა საჭირო, რათა ბათომის ოლქში განხორციელდეს საქართველოში განხორციელებული სოციალური ხასიათის რეფორმებიო. პირველი საზრუნავი საგანია აჭარის გაწმენდა ბანდებისაგან. მნიშვნელოვანი საკითხია აგრარული საკითხიც. ყველა თანახმაა, რომ სახაზინო და ძვირფასი კულტურული მამულები ნორმის ზევით გადაირიცხოს სახელმწიფო ფონდში. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხს, საჭიროა უპირველეს ყოვლისა სასულიერო წოდების სათავეში დარჩეს შეიხ ულ-ისლამი, რომლის პოლიტიკური უფლებაც უნდა გარკვეულ იქნას კონსტიტუციით. სასამართლო ისეთი უნდა არსებობდეს, როგორსაც მიეჩვია ხალხი. ყადის თანამდებობა უნდა იყვეს არჩევითი. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს განათლების საქმეს, რადგანაც ეს საქმე დღეს სრულებითაც არაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. სექტემბრიდან ჩვენ უნდა დავიწყოთ ფართო ხასიათის საშკოლო აღმშენებლობა. ასეთი რეფორმების განხორციელებით ჩვენ უეჭველია ოლქის აყვავებას ხელს შევუწყობთ. (სდს).

## სატარიფო პალატის ცირკულიარი

6 აგვისტო.

ყველა მუშათა და მწარმოებელთა ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსებს, საქალაქო და საერობო თვითმართველობებს, მომრიგებელ კამერებს, შრომის სამინისტროს რწმუნებულებს და კომისრებს სატარიფო პალატამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა:

„სატარიფო პალატის 1920 წ. 23 ივლისის დადგენილებების § 12-ის ძალით ერთდროულ დახმარების შესახებ სატარიფო პალატის პრეზიდიუმი განმარტავს:

1) იმ მუშებს, რომელნიც წარმოებაში მუშაობენ მუდმივათ, მაგრამ სამუშაოს თავისებურ ხასიათის გამო მუშაობენ თვეში 25 დღეზე ნაკლებს, 23 ივლისის დადგენილების § 4-ის თანახმად, უფლება აქვთ მიიღონ ერთდროული დახმარება.

2) იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც ფაქტიურათ შესწყვიტეს მუშაობა, მაგრამ განაგრძობენ ხელფასის მიღებას იმ მიზეზით, რომ მწარმოებელს უფულობის გამო მათთვის ჯერ ანგარიში არ გაუსწორებია, აქვთ უფლება მიიღონ ერთდროული დახმარება მხოლოდ მუშაობის შეწყვეტის დღემდე.

3) სალიკვიდაციო ჯილდოს განსაზღვრის და ზედმეტ სამუშაოსთვის ჯილდოს მიცემის დროს ერთდროული დახმარება მხედველობაში არ მიიღება.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე **ი. გოლდმანი.**

მდივანი **ი. ტრეიმანი.**

## სოც. რევ. შეკითხვის გამო

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ს.-რ. შეიტანეს შეკითხვა ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციის თვითნებობის და ბოროტმოქმედების შესახებ. შეკითხვა მისართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, რომ სამინისტრო მილიციის მოქმედებას თვალყურს არ ადევნებს, არ სდევნის ბოროტ-მოქმედებას და მილიცია, ამით თავგასული, რასაც უნდა იმას სჩადისო.

ს.-რევოლიუციონერები ყოველგან და ყოველთვის ეძებენ მონახონ ისეთი რამ, რაც მთავრობის მოქმედებას სახელს გაუტეხს და ხალხში ნდობას დაუკარგავს. მათ ახსოვთ მხოლოდ ის, ვინ რა ჩაიდინა, მხოლოდ არ ახსოვთ, ამ მოქმედებისთვის ვინ რა სასჯელი მიიღო.

ს.-რ. მიუთითეს მთავრობას, რომ ბორჩალოში ადმინისტრაცია ქრთამებს იღებდა და უკანონოდ ატუსაღებდა ხალხს. მათ არ სთქვეს ამ ბოროტ-მოქმედებისთვის რა სასჯელი მიიღო თვი-

ავეჯეულობის და ჭურჭლეულების საწყობი

# ი. ა. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი

ქ. ბათომი ლონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26

სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: შკაფი, კამოდი, ბუფეტი, სტოლი, სკამი, სარკე და ჭურჭლები შუშის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალუმინის და სხვა. ყიდულობენ ცოტა ნახმარ ავეჯს და ჭურჭლებს. (2396—10—2)


თეულმა მილიციის უფროსმა. იქნებ ს.-რ. არ იცოდნენ შედეგი ბოროტმოქმედებისა? მაგრამ სადაც ყველა წვრილმანი გამოჩიჩქნეს, ნუ თუ ვერ გაიგეს ისეთი რამ, რაც უფრო ადამიანს თვალში ეცემა? მაგრამ, ალბად, მათთვის ამის გამომზეურება სრულიად ხელსაყრელი არ იყო. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია დავეხმაროთ ს.-რ. და იქ, სადაც მათ „ა" სთქვეს ჩვენ ვთქვათ „ბ".

ჩვენ აქ არ შევეხებით ძველ ამბებს, ვიტყვით მხოლოდ, თუ რა ზომები იყო მიღებული ბოროტ-მოქმედების ასალაგმავათ ერობის დაარსების შემდეგ და ამ მხრივ რა გააკეთა ერობამ. ყველას გაგონილი ექნება, რომ ბორჩალოს მაზრა ყველა მაზრებზე უფრო ჩამორჩენილია ჩვენში. რევოლიუციის დაწყებამდე იქ არ არსებობდა სკოლა, არ იყო არავითარი კულტურული დაწესებულება და მაზრა განთქმული იყო ბოროტმოქმედებით. თუ გადაშინჯავთ კავკასიის კალენდარებს, თქვენ შეხვდებით, რომ მაზრაში წელიწადში მკვლელობები ადიოდა 65—58, მაშინ, როდესაც სხვა მაზრებში ამისთანა შემთხვევები არ აღემატებოდა 10—18. ამავე კალენდარის ცნობით სხვა ბოროტმოქმედებები უფრო მეტი იყო და ეს იმიტომ, რომ ავაზაკებს ადმინისტრაცია მოყიდული ჰყავდა, საჭირო იყო ბოროტმოქმედს გაეგზავნა ადმისტრატორისათვის რაოდენიმე ასეული მანეთი და ყოველივე საბუთი დაკარგული იყო და ავაზაკი განაგრძობდა ბოროტმოქმედებას. რევოლიუციის ხანაში ერობის დაარსებამდე, როდესაც სახელმწიფოებრივი ძალა შესუსტდა, ბორჩალოს მაზრაში გავლა აღარ შეიძლებოდა, ავაზაკები უკვე ლეგალურად მოქმედებდნენ. ხალხიც აბობოქრებული იყო და ეს მდგომარეობა გრძელდებოდა ერობის დაარსებამდე. თქვენ, ალბად, გაგეგონებათ, რომ თითქმის ბეზობოლალის მთელი გზა „დარდანელს" წარმოადგენდა. (ასე ეძახდენ მაშინ მას) დარდანელს იმიტომ, რომ მოქალაქეს მარტოც კი, ისიც უიარაღოდ ვერ შეეძლო გავლა. ერობის დაარსებიდან იწყება ახალი ხანა, მაზრას მოევლინა კულტურული ძალები, მოევლინა მაგარი ხელი, რომელმაც „დარდანელი" დაარღვია და თანდათანობით მინიმუმამდე მიიყვანა ბოროტ-მოქმედებანი.

ერობას არ შეეძლო ერთი ხელის დაკვრით მოესპო ბოროტ-მოქმედება, როგორც ხალხში, ისე ადმინისტრაციაში, მაგრამ რომ ის ამის წინააღმდეგ აშკარად და მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა,—გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ. ერობამ თავის მუშაობის დროს სამსახურიდან დაითხოვა და პასუხისგებაში მისცა 17 მილიციის უფროსი. რას ამტკიცებს ეს? ნუ თუ იმას, რომ თვითონ ერობა ან შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელს უწყობდა, არ სდევნიდა ბოროტ-მოქმედებას.

თქვენ შეიძლება წაკითხული გქონდეთ ერობის თავმჯდომარის მოხსენება ადმინისტრაციის შესახებ ბორჩალოს ერობის მეორე ყრილობაზე ჟურნალ „ქალაქის" № მე-3. იქ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ერობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მაზრის და ადმინისტრაციის გასაჯანსაღებლად.

შეიძლება ვისმე 17 მილიციის უფროსის დათხოვნა და მათი პასუხისგებაში მიცემა უბრალო, ლითონი სიტყვა ეგონოს! მათ შეუძლიათ მიმართონ ერობის გამგეობის სხდომების ოქმებს. ვინ იყვნენ ეს მილიციის უფროსები მიმართულებით? აქ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი მათგანი ს.-დემოკრატი არ ყოფილა, პირიქით, რამდენიმე მათგანი ს.-რევოლიუციონერი იყო, რომელთაც რევოლიუციის პირველ წლებში პასუხისმგებელი ადგილებიც კი ეჭირათ, მაგ. ინაკავაძე ის იყო ერობათა და ქალაქთა (земгоръ) კავშირის მთავარ კომიტეტის წევრი (არჩევითი), ეწეოდა პარტიულ მუშაობას და სხვა. ერთი ფრიად საინტერესო მოვლენაა აღსანიშნავი, როდესაც ს.-რ. შეკითხვას ასაბუთებენ უფროს მილიციონერის ბოროტმოქმედებით, რომელიც პასუხისგებაშია უკვე მიცემული (დაატუსაღა შინაგან საქმეთა მინისტრმა და გადასცა გამომძიებელს), მათი ამხანაგები ბორჩალოს ერობის ხმოსნები დეპეშით თხოულობენ გოშუას აღმატებას, ცალკის რაიონის მილიციის უფროსად დანიშვნას. ამის საბუთები ინახება ერობაში და სამინისტროში. რაშია საქმე. ან გოშუა ბოროტი კაცია და სამინისტროს იმისთვის სასჯელი სწორედ მიუკისრებია და ამ შემთხვევაში თქვენი შეკითხვა უაზროა, ან გოშუა პატიოსანი კაცია, როგორც ამას ადასტურებენ თქვენი ამხანაგები და თქვენი ღალადისი თქვენივე წინააღმდეგაა მომართული.

ერობა ყოველ ღონეს ეძებდა პატიოსანი ადმინისტრატორები ჩაეყენებინა რაიონების სათავეში, მაგრამ თუ ის არ გამოდგებოდა, დაუყოვნებლივ ითხოვდა სამსახურიდან.

შეკითხვის დროს ბ. ლეო შენგელაია შეეხო აგრეთვე ერობის თავმჯდომარესაც. მან მოიყვანა საბუთად ყოფილ ქუთაისის პოლიცმეისტერის კოტე სიმონიშვილის წერილი, დაბეჭდილი გაზ. „კლდის" მე № 24 (სიმონიშვილი ერობის თავმჯდომარემ დაატუსაღა მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობისათვის) სადაც დამახინჯებით იყო მოყვანილი ერობის წერილი. შედარებისთვის მოვიყვან „კლდის" ტექსტს და ნამდვილ ტექსტსაც.

სიმონიშვილი სწერდა: „Прошу отпустить для моихъ служащихъ 5 пуд. масла и 10 сыру по низкой цѣнѣ. Предсѣдатель Кавкасидзе. Секретарь №". უნამროთ წერილში დასძენდა, რომ ბორჩალოში 20 ქარხანაა. ყველას რომ წარმოედგინა, მილიონ მანეთისა იქნებოდაო. ამას უწოდებს სახელად: „ვიმოგატელსტვოს" ნამდვილი ტექსტი კი ასეთია. „М. Г. Не можете ли отпустить по сходной цѣнѣ для служащихъ земства 5 пудовъ масла и 10 пудовъ сыра. Отвѣтъ благоволите съ указаніемъ цѣны въ управу. Председатель Кавкасидзе' Секретарь Полихроновъ № 5002"

წერილი მიწერილი იყო ორ მექარხნესთან იმ მოსაზრებით, რომ რომელიც ნაკლებ ფასში მისცემდა, მისგან ერობა შეისყიდდა. რა არის ამაში დასაგმობი? ნუ თუ ერობას არა აქვს უფლება შეეკითხოს ვისმე, იყიდოს და სხვა.

მაგრამ სიმონიშვილს სურდა ჯავრი ამოეყარა. მან ამისთვის ერთნაირი შულერობა გასწია. შეეკითხა არა თავმჯდომარე და პასუხს თხოულობდა არა თავისთვის, არამედ „უპრავაში".

ს.-რ. წაიკითხეს „კლდე". მათ აღარ წაუკითხავთ „ერთობა", რომელშიაც კავკასიძემ სთხოვა ავტორს ნიღაბი აეხადნა, რათა პასუხისგებაში მიეცა. „კლდის" რედაქცია განზე გაუდგა სიმონიშვილს და შემდეგ №-შივე მისი გვარი გამოამჟღავნა, მაგრამ ს.-რ. ქინი აღძრული აქვსთ და რაც მოადგებათ პირზე იმას როშავენ.

გობეჩიამ თავისი სიტყვა დაიწყო ს.-დ. ბაუროს შესახებ, ჩამოთვალა 20 კაცამდე და ყველა ავაზაკებათ მონათლა. არ დაინდო ისეთი პირნიც კი, რომელთაც მათთან უფრო მეტი კავშირი და სულიერი ერთობა აქვთ, ვიდრე ს.-დ. მაგალითად, მან აბრამ კარსლიევს ს.-დ. ბიუროს წევრი უწოდა. კარსლიევს არავითარი კავშირი ს.-დ. არა ქონია და არც ექნება. ის წალკაში ეწეოდა მთავრობის და რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას. ამიტომ დატუსაღებული იყო მილიციის უფროსის მიერ და გაგზავნილ იქნა თფილისში. მანგლისის გზიდან კარსლიევი გაიქცა და უკანასკნელ დრომდე იმალებოდა, შემდეგ უსწრო რუსეთთან ხელშეკრულობამ და შეღავათება მიიღო. აქედან აშკარაა, რამდენად საბუთიანია მისი განცხადება, იგივე შეიძლება ითქვას სხვების შესახებაც.

მართლა რომ ბოროტ-მოქმედება ხდებოდა ყოველთვის შეიძლება იპოვოთ, მაგრამ რომ ყველა ბოროტმოქმედი პასუხისგებაშია მიცემული, თუ ეს ასე არ არის დეე დაამტკიცონ ბ.ბ. ს—რ-მა.

როდესაც ს—რ. სოციალ-დემოკრატებზე ლაპარაკობენ, მათ ქართული ანდაზასავით მოსხდით „ჩემი შენ გითხარ გული მოგიკალო" ს—რ. სამაზრო ერობაში 8 ხმოსანი ჰყავთ: ყველა წალკიდან. ვინ არიან ესენი? ჩამოვთვალოთ. ცანდეკოვი (ლიდერი) თუმცა მას ადმინისტრატიული თანამდებობა არ უჭირავს, იყო მხოლოდ რაიონის აგრარულ კომისიის მდივანი, მაგრამ მის ბოროტმოქმედებანი ცამდე ღაღადებენ, მასზე არის 10 სხვადასხვა ოქმი შედგენილი და ზოგი გამომძიებელს აქვს, ზოგიც პროკურორს. თუ მომთხოვეს, ამის დამამტკიცებელ საბუთებსაც წარმოვადგენ.

ფარმანიანცი. ს.—რ. მას ბრალათ ედება სომხეთის ნაციონალურ საბჭოდან ფქვილის გატანა და კერძო ბაზარზე გაყიდვა. ამის გამოძიებას საბჭოს დავალებით აწარმოებს მაზრის მილიციის უფროსი.

გუბისაროვი ს.—რ. საზოგადო ქონება მიითვისა საქმე გამომძიებელსა აქვს და სხვებს ვინ მოსთვლის.

ამის შემდეგ გამოსულან ს—რ და ყვირიან: არიქა, უშველეთ, ავაზაკები შეყრილან და არავინ მათ პასუხს არ სთხოვსო. ერთი განმარტება კიდევ. გობეჩიამ ბრძანა: ბოროტმოქმედი დაატუსაღეს, გვარად სარიევი და მაშინვე ერობის თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნეს—გაანთავისუფლეთ ჩვენი კაციაო. დეპეშა წაიკითხა, მაგრამ იქვე დაწერილი მეორე დეპეშა ერობის თავმჯდომარისა აღარ წაიკითხა, სადაც ასეა ნათქვამი: „მილიციის უფროსს. სასტიკად გამოიძიეთ და ბოროტმომქმედი პასუხისგებაში მიეციო".

ბატონებო, სირცხვილია, ასეთი რამით დამფუძნებელ კრების ყურადღების შეჩერება. მაგრამ თქვენ ხომ სხვას არას აკეთებთ, სახელმწიფოა მშენებლობა თქვენ ხომ ნაკლებათ გაინტერესებთ. თქვენ მხოლოდ ქექავთ და ყოველთვის ისე მოგდით: „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

წიკორილი.

## კოოპერატივთა ცხოვრება

**კოოპერატივების საყურადღებოთ.** კოოპერატივთა კავშირის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება აწყობს საქართველოს ქალაქებში და დაბებში პოპულიარულ ლექციებს კოოპერაციაზე. ამხ. ი. ირემაშვილი და ალ. დღვდარიანი ჩამოივლიან: ზესტაფონს, ქუთაისს, ხონს, ტყიბულს, ონს, სამტრედიას, ლანჩხუთს, ჩოხატაურს, ოზურგეთს, ზუგდიდს, სენაკს, აბაშას, ფოთს, ბათომს და ჭიათურას. კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება სთხოვს ადგილობრივ კოოპერატივებს, რომ მათ ამხ. ლექტორებს შესაფერი დახმარება აღმოუჩინონ.

## ს. დ.-პარტიაში

**ნავთლუღი.** 5 აგვისტოს შესდგა მე-7 რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სდომა ამხ. ქანგიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა კითხვები: 1) მოხსენება თფ. კომიტეტიდან, 2) პრეზიდიუმის არჩევნები, 3) მდივნის შესახებ.

კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ევ. ლორიამ; რადგან მოხსენება დიდს კამათს გამოიწვევდა, ამავე დროს კი ყველა ორგანიზაციების შეერთებული კრება იყო მოწვეული, ამიტომ მოხსენების შესახებ კამათი მომავალ სხდომისათვის გადაიდო.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა დამატებით ამხ. გვიმბრაძე.

რაც შეეხება მდივნის ჯამაგირს, გადაწყდა: მდივანს დაენიშნოს თვეში 4000 მანეთი და აგრეთვე მიეცეს ყოველივე მომატება, რომელსაც კი ექნება ადგილი მომავალში. გადაწყდა აგრეთვე მოწვეულ იქნას კრება ახლო მომავალში პარტიულ ყრილობის მუშაობის ანგარიშის მოსასმენათ.

პ. ლესელი.

— —

**ქ. გორი.** 2 აგვისტოს მოხდა გორის პირველი რაიონის სოც.-დემ. მუშ. პარტიის წევრთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა მელიქაძე და მდივნობდა მერაბიშვილი. კრებას დაესწრო 60-დე წევრი. გაირჩა ერთი საკითხი: ორგანიზაციული მუშაობის აღდგენა და გაძლიერება. გამოირკვა, რომ თუ ვინმე თანაუგრძნობდა ბალშევიკებს, ისინიც ჩამოშორდენ მათ იმის შემდეგ, რაც რაც ბალშევიკები საქართველოს საზღვრებთან მოაძლოვდნენ და თავიანთი სახე აჩვენეს ჩვენს მუშებს.

ორგანიზაციული მუშაობის შესახებ გამოირკვა, რომ ამ მხრივ მუშაობას ხელი შეუშალა ჯერ მიწის ძვრამ და მერე ჯავის ფრონტისაკენ ყურადღების მიქცევამ. ეხლა კი წევრებმა უკვე თავი მოიყარეს გორში და იწყება ხელახალი მუშაობა. კრებამ მიიღო დამატებით ზომები პარტიული მუშაობის კიდევ უფრო გასაძლიერებლათ.

3 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მ. კობერიძის თავმჯდ. საზაფხულო კლუბში მოხდა კრება გორის სოც.-დემ. მუშათა პარტიის პირველი და მეორე რაიონის ყველა წევრებისა, რომელზედაც გააკეთა მოხსენება პროფესორმა ეფრემიძემ საქართველოს მეორე პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ. დელეგატმა დალაგებით გააცნო კრებას ყრილობის ხასიათი და იქ მიღებული დებულებები, რის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ეფრემიძისა პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ და გაეცნო რა ყველა რეზოლიუციებს ამ ყრილობისას, გორის პირველი და მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება სთვლის ყრილობის მუშაობის ნაყოფიერათ. კრება მიიღებს ზომებს რეზოლიუციების ცხოვრებაში გასატარებლათ.

მოხეტიალე რაჭველი.

## მუშათა შორის

**რვა საათის სამუშაო დღის დეკრეტის დარღვევა.** მეღითონეთა კავშირის გამგეობამ მიმართა შრომის კომისარს თხოვნით, რათა წისქვილის მეპატრონე ს. გასპარიანცი, რომელმაც დაარღვია რვა საათის სამუშაო დღის დეკრეტი, პასუხის გებაში იქნას მიცემული.

— —

**ინსტრუქცია ბათომის პროფ. ორგანიზაციებს.** საქ. პროფ. კავშირის ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ბათომში პროფ. ორგანიზაციებისათვის ინსტრუქციების მისაცემათ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი გაგზავნოს. ამასთანავე გადაწყვეტილია ბათომის პროფ. ორგანიზ. მიაწოდონ საჭირო მასალა პროფ. მოძრაობის საქმის წარმოებისა და სხვათა შესახებ. შაბათს კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ა. ხელაძე ბათომს მიემგზავრება.

— —

**განახლებულ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.** 11 ივლისს განახლებულ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე შესდგა კავშირის ყველა საქარხნო კომიტეტების წევრთა კონფერენცია ლ. მამალაძის თავმჯდომარეობით და ო. ლაცაბიძის მდივნობით.

წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) 1% გადასახადი წევრებისაგან, როგორც ძირითად ჯამაგირიდან, ისე ზედმეტ ნამუშევრიდანაც, 2) გაზეთ ბაქოს „კომუნისტის" პროვოკაციის შესახებ, 3) ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დამტკიცება და 4) მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ო. ლაცაბიძე და ამბობს, რომ უმეტეს ნაწილმა კავშირებისამ, ცხოვრების გაძვირების გამო, უკვე დააწესეს წევრებზე 2 პროცენტიანი გადასახადი; მაგრამ განახლებულმა ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ ჯერჯერობით ამ ზომას გვერდი აუარა იმ მოსაზრებით, რომ 2% გადასახადი მცირე ჯამაგირებიანს მძიმე ტვირთად დააწვებოდა. გამოსავალი გზა კი ერთია: დარჩეს ერთ პროცენტიანი გადასახადი. ვინც მეტს იღებს ზედმეტი მუშაობით, მას 1% გადახდება არა ძირითად ჯამაგირიდან, არამედ—მთელი შემოსავლიდან.

შემდეგ ლაპარაკობენ: ამხ. ლ. მამალაძე, ახალბედაშვილი ნაცვალაძე და სხ., რომლებიც მხარს უჭერენ გამგეობის დადგენილებას.

შემდეგ კონფერენცია ერთხმად იღებს დადგენილებას,—კავშირის წევრებმა გადაიხადონ 1% მთელი შემოსავლიდან.

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ლ. მამალაძე, რომელიც აღნიშნავს გაზეთ ბაქოს „კომუნისტის" პროვოკაციას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და არკვევს, თუ რა მიზნებს ისახავდენ ჩვენი მტრები, როდესაც აღნიშნულ პროვოკაციას სთხზავდენ.

მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ ვერავითარი პროვოკაცია ჩვენი მტრებისა ვერ შეარყევს საქართველოს დემოკრატიის სიმტკიცეს. შემდეგ ლაპარაკობს ბეს. ნაცვალაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ ბაქოს „კომუნისტის" გამოსვლა დარღვევაა საზავო ხელშეკრულების პირობებისა.

ლაპარაკობენ აგრეთვე ო. ლაცაბიძე, ახალბედაშვილი, ქელეტი და სხვები, რომლებიც ჰგმობენ კომუნისტების პროვოკაციას და გამოსთქვამენ იმედს, რომ საქართველოს დემოკრატია შესაფერ პასუხს გასცემს მათ. მიიღეს რეზოლიუცია: „ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე არავითარ მიტინგების დახვრეტას არ ჰქონებია ადგილი და ეს პროვოკაცია კი გამოწვეულია ბაქოს „კომუნისტის" წინასწარ მოსაზრებით, რათა მოაწყოს აშბოხება შიგნით და ორი მეზობელი მშრომელი ხალხი ერთმანეთს დააჯახოს და ამით თავისი ვერაგი ხელით ძირი გამოუთხაროს ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას,—კონფერენცია სასტიკ პროტესტს უცხადებს ბაქოს „კომუნისტს" და მოითხოვს ვისგანაც ჯერ არს სწრაფი ზომები იქნას მიღებული ამ სიყალბის და პროვოკაციის გასაბათილებლათ".

მესამე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ო. ლაცაბიძე. იგი ეხება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას, ადარებს ძველს და აღნიშნავს მათ შორის განსხვავებას. ორატორი მოუწოდებს ამხანაგებს ედგრათ დაიცვან ხელშეკრულება, ვინაიდან ხაზეინები შეეცდებიან ხელი შეუშალონ მის განხორციელებას.

შემდეგ კონფერენცია გადავიდა ხელშეკრულების მუხლობრივ გარკვევაზე; ყველა მუხლები მიღებულ იქნა უცვლელათ, გარდა ორი მუხლისა, რის შესახებაც ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი. დადგენილ იქნა გადიბეჭდოს საკმაო რიცხვი კოლექტიური ხელშეკრულობის, რომლებიც უნდა დაეგზავნოს საქარხნო კომიტეტებს წინასწარ გასაცნობათ.

დასასრულ დაადგინეს მოეწყოს ბათომში მუშების ექსკურსია ადგილობრივ მუშების მდგომარეობის გასაცნობათ.

ო. მაშოშვილი.

## პროვინცია

**ს. ჭანჭათი** (გურია). ს. ჭანჭათი ამ რამდენიმე თვის წინად აკეთის თემის ნაწილი იყო, მაგრამ სამწუხაროთ თუ საბედნიეროდ (ამის თქმა ჯერ ნაადრევია) ის დღეს აკეთის თემს შუაზე ყოფს და ვანსა და ზოლეთთან ერთად ერთ თემს შეადგენს. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვით ეს სოფელი გურიაში პირველთაგანია და ალბათ ამისი წყალობა უნდა იყოს ის მშვენიერი და უკვდავი საქმის დაწყებაც. მე მოგახსენებთ სახალხო სახლის შესახებ. სახალხო სახლის აგებას გურიაში ჯერ კიდევ ჯალათობის დროშიც ფიქრობდენ გურულები, მოზრდილ და ერთ დროს ფიზნელ დაბა ნიგოითში სახალხო სახლის ამისთვის საფუძველიც ჩაყარეს, ერთი არშინი კედელიც ამოიყვანეს, მაგრამ „ადრე ატყდომა ქრისტეს გასაოცრად „ადრევე შოათავა გლოვა"—20 წლის წინად დაწყებული საქმე, დღესაც მოუსრულებელია. თავისუფლების დღიდან გურიაში ბევრი თემი შეეცადა სახალხო სახლის აგებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაწყებითაც ვერ დაუწყიათ. ჭანჭათმა კი ერთმა პატარა, ღარიბმა და მივარდნილმა სოფელმა დაიწყო და კიდევაც განაგრძობს ენერგიულად. ვისაც ჩვენი სოფლის ამოლოდინება სწამს შეუძლებელია მას არ გაუხარდეს ეს. სოფელი თავისივე ხელით იგებს თავისავე კულტურის ტაძარს, იგებს თლილი ქვის უზარმაზარ შენობას (24 და 40 არშ.), რომელშიაც მოთავსდება სასწავლებელი და გაიმართება წარმოდგენები: იშვიათია ჭანჭათელების ერთსულოვნება, ისინი უკვე შეხარიან ორი არშინის სიმაღლის კედელს და ყანის მუშაობის დროსაც კი ეზიდებიან უომებით საჭირო მასალას, რა არის მისი და კეთილსინდისიერი უცხოელი ოსტატი არ მოაცდინონ საქმეზე. შენობის ასაგები მასალის მოტანა და ხელფასიც მცხოვრებლებს გაწეული აქვთ ცხოვრებათა სულის მიხედვით—ყველა წლოვანი ვაჟი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა, როგორც მუშაობით, ისე ფულის გადახდით და ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ვინმეს ეს დაზარებოდეს. ჩვენ გვჯერა, რომ ჭანჭათელები ამ სახლს თუ გინდ „პირში სული ამოიძრონ" მაინც დაასრულებენ, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ მათ დაეხმარებიან არა მარტო ჭანჭათლები, არამედ სხვებიც. როცა ეს სახლი დასრულდება, ცხადია ის გამოიწვევს, რომ მის ირგვლივ გაკეთდეს შესაფერი გზა და აი ამის შემდეგ ეს სახლი იქნება მართლა და სამაგალითო და მის ამგებათ სასახელო, საამაყო.

გამვლელი.

## ცნობები

**ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარ.-კაცებს**

ჩემი შვილი გრიგოლ თავართქილაძე მსახურობდა ქართულ ცხენოსან პოლკში „კომანდა სვიაზი." 1917 წელს, თანახმად პოლკის შტაბის ცნობისა, ის მოხვდა სპარსეთის ფრონტზე ტყვეთ და მას შემდეგ აღარაფერი ვ ცით. ტყვეობაში ყოფნის დროს იქნებ განახოთ სადმე, ან იცოდეთ რამე მის შესახებ. გთხოვთ გვაცნობოთ, რისთვისაც დიდათ დავალებული დავრჩებით. მოხუცი დედამისი.

ოზურგეთი, ს. ბუკნარი, დავით თავართქილაძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.


## განცხადებანი

**ბორჯომში**

ექიმი

**ბესარიონ პაპოვი**

თბილისიდან.

იღებს ყელის, ყურის და ცხვირის ავადმ. მისამართი გაიგება პარკში. (2554—10—2)

**იყიდება აფთიაქის მაღაზია**

თავის მოწყობილობით. ავლაბარში ლაზაროვის ქუჩა № 9, მანუკოვისა მე-7 უბ. (2587—2—1)

ფერშალი

**ალ. ნ. გოლდანი**

რომელმაც მიატოვა სამსახური რკინის გზაზე და შორაპნის თემში, ეძებს საფერშლო საქმეებს: კისრულობს მძიმე ავადმყოფთათვის ღამის თევას, შეზავებას და სხვ. საფერშლო საქმეს ექიმის ზედამხედველობით. მისამართი: ნიკოლაევის ქ. № 76. (2571 3—2)

ექიმი

**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავადმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავადმყ. („606" და 914 შეზაპუნებით) ავადმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

**სასწრაფოთ იყიდება**

სხვადასხვა საოჯახო ნივთები და აგრეთვე

**ლინეიის მეწველი ძროხები**

და ხარი

მისამართი გოგოლის ქ. № 49 ბინა 5. (2567—2—2)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გოსპიტალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეზაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავადმყოფობას ვკურნავ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმმა

**ნიკოლოზ მახვილაძემ**

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი

**ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს საზებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

**განმეორებითი გამოცდები მათემატიკაში**

და ენებში ვამზადებ მოწაფეებს

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5, 9—11 ს. 4—6 ბინა ი. მაჩაიძისა. (2546—4—4)

**სამკურნალო**

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყოროლენკოს ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად სიფილისი (606 და 914. ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

**კ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეზაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკაეშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი

**გ. გ. მებრაგიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ჰლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

**ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს. შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეზაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ექიმი

**გურნის ასაის მკ ვოლოკი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**გ. ი. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

**ხალდეომინ ასაის მკ ვოლოკი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელვის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

**250 მანეთად**

დიდი ხნის გამოცდილი საწერ მანქანაზე მასწავლებელი ქალი ასწავლის მსურველებს „ბლოკის" მეთოდით ორი კვირის განმავლობაში ქართულ მანქანაზე ბეჭდას, აცნობს ყოველ გვარ საქმის ქაღალდებს და უხსნის ყველა უმთავრეს საიდუმლოებს. პირველი გაკვეთილი უფასოა. მოსწავლეებს გეგმა კლავიატურისა მიეცემათ უფასოთ. მიღება მოწაფეებისა ყოველ დღე დილის 11 საათიდან საღამოს 7 ს. მეცადინეობა სწარმოებს დღეში ერთი საათი. მისამართი 1-ლი კომისარიატი ვერა, წყნეთის ქუჩიდან მარცხნივ მეორე შესახვევი კობიის ქუჩით, შემდეგ მარჯვნივ მეორე შესავალი, მლეთის შესახვევი № 5 სახლი ლარიზოვისა. იკითხეთ შუა სართული ქ-ნი ლუარსამიძე ანდრიევსკისა. (2592—1—1)